


დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა საქართველოში



დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა
საქართველოში

თბილისი
2023



ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

კვლევაზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე, გიორგი ფოცხვერიშვილი
მკვლევარი: თამარ გვასალია
რედაქტორი: ნინო კალატოზიშვილი
ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

ტირაჟი: 100
ISBN: 978-9941-8-5089-9

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თამარ გვასალია, „დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა საქართველოში“, 2023

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge
info@socialjustice.org.ge
<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

სარჩევი

შესავალი	6
კვლევის მეთოდოლოგია	7
მიგნებები და რეკომენდაციები	9
ნაწილი I დანაშაულის პრევენციის გაგება	13
თავი I კრიმინოლოგიური თეორიები – რეალისტური კრიმინოლოგია (მოკლე მიმოხილვა)	14
მემარჯვენე რელიზმი	14
მემარცხენე რელიზმი	15
თავი II – პრევენციის ტიპოლოგია	17
პრევენციის დონეები	17
დანაშაულის სიტუაციური პრევენცია	19
დანაშაულის სოციალური პრევენცია	20
ნაწილი II – დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა საქართველოში	24
პრევენცია როგორც პოლიტიკური კატეგორია	25
დანაშაულის პრევენცია და სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური ჩარჩო	26
პრევენცია ხელისუფლების პოლიტიკურ პროგრამებში	28
ნაწილი III – პრევენცია პოლიციისა და პენიტენციური სისტემის ფარგლებში (კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი)	30
თავი I – საპოლიციო საქმიანობის ახალი მოდელები ქართულ სივრცეში და მათი გავლენა დანაშაულის პრევენციაზე	31
ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა	31
საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა	34
თავი II – დანაშაულის პრევენცია პენიტენციურ სისტემაში	39
დასკვნა	44

შესავალი

დანაშაულის პრევენცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მისი ფუნქციაა, შექმნას ხალხისთვის დაცული და უსაფრთხო გარემო. პრევენციის ეფექტიანი პოლიტიკის წარმოება ხელს უწყობს დანაშაულისა და ვიქტიმიზაციის თავიდან არიდებას, ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას.¹

წინამდებარე დოკუმენტი იკვლევს დანაშაულის პრევენციის პოლიტიკას საქართველოში. ნაშრომი მიზნად ისახავს, შეაფასოს, რამდენად ძლიერია შესაბამისი ორგანოების მიერ გადადგმული ნაბიჯები პრევენციის დამკვიდრებული პრაქტიკის ცვლილებისა და გაუმჯობესებისთვის.

საქართველოს კანონმდებლობით, დანაშაულის პრევენცია სამართალდამცავი სისტემის მანდატშია მოქცეული. პრევენციული ფუნქციები, ძირითადად, გამოძიებაზე უფლებამოსილ ორგანოებს აქვთ. დანაშაულის პრევენციაში ნაკლებადაა ჩართული ის უწყებები, რომლებიც ჯანდაცვის, საგანმანათლებლო, სოციალურ, კულტურულ და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით მუშაობენ. შესაბამისად, დანაშაულის პრევენციის მიმართ ქვეყანას აქვს ტრადიციული მიდგომა, რომელიც პრევენციას მხოლოდ სისხლისსამართლებრივ კატეგორიად მიიჩნევს. პრევენციის ამგვარ გაგებას თანამედროვე ლიტერატურაში მკაცრად აკრიტიკებენ, რამდენადაც მას არ აქვს დანაშაულის თავიდან აცილების უნარი და, ძირითადად, დანაშაულის შეკავებისა და დასჯისკენ არის მიმართული.² პრევენციის ტრადიციული აღქმა არღვევს მიზნას დანაშაულის კონტროლსა და რეალურ პრევენციას შორის.³

ტრადიციული ჩარჩოს საპირისპიროდ, პრევენციის თანამედროვე მოდელები დანაშაულის შემცირების სოციალურად პროგრესულ გზას ირჩევს, რაც სისხლის სამართლის ფარგლებს გარეთ მუშაობას და სოციალური პირობებისა და სოციალურ კეთილდღეობაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების გაძლიერებას მოითხოვს.⁴ პრევენციის არსებული გაგება ხელს უშლის ქვეყანაში სხვადასხვა ტიპისა და კატეგორიის დანაშაულის მიმართ ინტერდისციპლინური პროგრამების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობდა პრევენციის კლასიკური მოდელის გადააზრებას, გააძლიერებდა პრევენციის საკითხებში დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე მუშაობას და ხელს შეუწყობდა ზრუნვაზე ორიენტირებული, სოციალურად მგრძობიარე პრევენციული პოლიტიკის წარმოებას.

1 National Crime Prevention Framework, Australian Institute of Criminology, 2012. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3DE9PN9> ბოლოს ნანახია: 29.10.2022

2 Farrington, D.P. and Welsh, B. C (eds) (2012) *The Oxford Handbook of Crime Prevention*, Oxford University Press

3 Lejins, P.P. (1967) *The Field of Prevention*. In Amos, W. E. and Wellford, C. F. *Delinquency Prevention: Theory and Practice*. NJ: Prentice-Hall

4 Farrington, D.P. and Welsh, B. C (eds) (2012) *The Oxford Handbook of Crime Prevention*, Oxford University Press

კვლევის მეთოდოლოგია

დოკუმენტი ქვეყანაში არსებული დანაშაულის პრევენციის პოლიტიკას რეალისტური კრიმინოლოგიური თეორიების ფარგლებში სწავლობს. ის მოკლედ მიმოიხილავს პრევენციის ტიპოლოგიასთან დაკავშირებით ლიტერატურაში განვითარებულ მსჯელობას და ცდილობს, პრევენციის არსებული პოლიტიკა ამ კლასიფიკაციის საფუძველზე გააანალიზოს. დოკუმენტი აფასებს საქართველოში დანაშაულის პრევენციის პოლიტიკურ გაგებას და პრევენციული პოლიტიკის განვითარებას დროთა განმავლობაში, მსჯელობს დანაშაულის სოციალური პრევენციის საკითხებზე და კრიტიკულად აფასებს პრევენციის არსებული პოლიტიკის თანხვედრას სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ იდეასთან.

კვლევა შერჩეული თეორიული ჩარჩოს მიხედვით აფასებს შესაბამისი უწყებების პრევენციულ სტრატეგიებს, პრევენციის მიზნით მათ მიერ გამოყენებულ მექანიზმებსა და ინიცირებულ მოდელებს. გამოკვეთილი მიგნებების საფუძველზე კი, ნაშრომი აყალიბებს შესაბამის რეკომენდაციებს ქვეყანაში ადამიანის უფლებებზე ფოკუსირებული, სოციალურად მგრძობიარე პრევენციის პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზნით.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობით პრევენციულ ფუნქციებს, ძირითადად, სამართალდამცავი ორგანოები ფლობენ, დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული საკითხები დოკუმენტში სამართალდამცავი სისტემის ფარგლებშია განხილული. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში პრევენციული უფლებამოსილებები სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოს აქვს, დოკუმენტი არ ფარავს დანაშაულის პრევენციის ყველა ასპექტს და არ განიხილავს ყველა პასუხისმგებელი უწყების საქმიანობას ამ მიმართულებით. კვლევა დანაშაულის პრევენციის საკითხებს მხოლოდ პოლიციისა და პენიტენციური სისტემის ფარგლებში აფასებს. ნაშრომის ამ შეზღუდული მანდატის გათვალისწინებით, კვლევის გუნდი ხაზს უსვამს, რომ პრევენციის პოლიტიკის სრულყოფილი ანალიზი დამატებით საკითხების კვლევას, თეორიულ მსჯელობას და განსხვავებულ მეთოდოლოგიას მოითხოვს.

წინამდებარე დოკუმენტში პრევენციის პოლიტიკაზე მსჯელობა შესაბამისი კანონმდებლობის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პენიტენციურ სისტემაში შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზს ეფუძნება. დოკუმენტზე მუშაობისას კვლევის გუნდი ასევე დაეყრდნო დანაშაულის პრევენციის შესახებ არსებულ აკადემიურ წყაროებს – ლიტერატურას, სტატიებს და სადისერტაციო თეზისებს.

კვლევის გუნდმა რამდენიმე უწყებას მიმართა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. კვლევაში განვითარებული მსჯელობაც, ძირითადად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოდან და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მონოლოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა.

კვლევის გუნდისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლება იყო ინფორმაციის მიღება შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ორგანიზაციამ სამინისტროს პრევენციასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მონოლოდების თხოვნით მიმართა. სამწუხაროდ, არაერთი კომუნიკაციის მიუხედავად, სამინისტროს დოკუმენტზე მუშაობის განმავლობაში ორგანიზაციისთვის ინფორმაცია არ მოუწოდებია. მიღებულ ინფორმაციას შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონოდა პრევენციის პოლიტიკის ანალიზსა და დოკუმენტში განვითარებულ მსჯელობაზე.

მიგნებები და რეკომენდაციები

დოკუმენტზე მუშაობამ ქვეყანაში დანაშაულის პრევენციის კუთხით არსებული რამდენიმე პრობლემური საკითხი გამოავლინა. უფრო კონკრეტულად, კვლევა ცხადყოფს, რომ:

- ბოლო წლებში ქვეყანაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა სახელმწიფოს თვალთახედვა და პოლიტიკა დანაშაულის პრევენციის მიმართ. ხელისუფლების მხრიდან პრევენცია კვლავ ვიწროდ, მხოლოდ სამართალდამცავი სისტემის საქმიანობის ნაწილად აღიქმება. ამასთან, მწირია ინკლუზიური, უწყებათაშორისი პროგრამების გამოყენების პრაქტიკა;
- სახელმწიფოს პოლიტიკის დოკუმენტებით არ აქვს აღიარებული სოციალური პოლიტიკის როლი დანაშაულის პრევენციის საკითხებში და არ მუშაობს სისხლის სამართლისა და სოციალური პოლიტიკის დაახლოებაზე;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული ინიციატივის მიუხედავად (როგორცაა საზოგადოებაზე ორიენტირებული და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის მოდელები), მნიშვნელოვნად არ შეცვლილა პოლიციის პრევენციული საქმიანობის ტაქტიკა. პოლიცია ისევ პრევენციული საქმიანობის ბუნებასთან შეუთავსებელ მექანიზმებსა და ღონისძიებების იყენებს დანაშაულის თავიდან ასაცილებლად;
- საპოლიციო სისტემის მოქმედი სტრუქტურა და ინსტიტუციური ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს ანალიზზე დაფუძნებული და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ეფექტიანობას. უფრო მეტიც, ამ მოდელის მოქმედ სტრუქტურულ და ოპერაციულ ჩარჩოში დამკვიდრება აძლიერებს კონტროლისა და რეპრესიის რისკს პოლიციის სისტემაში;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის შემოთავაზებული ვერსია უფლებამოსილების თვალსაზრისით აცდენილია განვითარებულ დემოკრატიებში მოქმედი მოდელისგან. მართლწესრიგის ოფიცერთა ინსტიტუტის (რომელიც საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის იდეის ფარგლებში ჩამოყალიბდა საქართველოში) უფლებამოსილება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება საპოლიციო სისტემის სხვა დანაყოფთა უფლებამოსილებისგან;
- კანონმდებლობა პოლიციის სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლისთვის საერთო უფლებამოსილებას ადგენს. მაგალითად, გამომძიებლის, დეტექტივ-გა-

მომძიებლის, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლის, დეტექტივის, უბნის ინსპექტორისა და მართლწესრიგის ოფიცრის საერთო ფუნქციაა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებაში მონაწილეობა, შეკრების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, სადღეღამისო კრებებში განსათავსებლად გადაცემა და სხვა. ამგვარი ოპერაციული ჩარჩოს შექმნა მართლწესრიგის ოფიცრებისთვის ხელს უშლის ამ ინსტიტუტის გამიჯვნას პოლიციის სხვა დანაყოფებისგან და შესაბამისად, აზრს უკარგავს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის იდეას;

- ქვეყანას არ აქვს დანერგილი პერმანენტული კრიმინოლოგიური კვლევის პრაქტიკა. კრიმინოლოგიური კვლევები ფრაგმენტულად, დროის ხანგრძლივი შუალედით ხორციელდება, რაც ხელს უშლის პრევენციის კვლევაზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებას;
- სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ფარგლებში კრიმინოლოგიური სახის კვლევა მხოლოდ ორჯერ – 2015 და 2018 წლებში ჩატარდა. ამასთან, სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას აღნიშნული კვლევის შედეგების გათვალისწინებით დაგეგმილი და განეული საქმიანობის შესახებ;
- კვლევის გუნდისთვის უცნობია, ანარმოა თუ არა ერთიანი კრიმინოლოგიური კვლევა ბოლო წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ. მოთხოვნის მიუხედავად, აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია სამინისტროს ორგანიზაციისთვის არ მიუწოდებია;
- სუსტია დანაშაულის პრევენციის მექანიზმები პენიტენციურ სისტემაში. პენიტენციურ სისტემაში პრევენციული მექანიზმები, ძირითადად, არასრულწლოვანთა მიმართ მოქმედებს და ნაკლებად არის ორიენტირებული სისტემასთან შეხებაში მყოფ სრულწლოვან პირებზე;
- სრულწლოვან პირებზე მიმართული პრევენციული ღონისძიებები უმეტესწილად ფრაგმენტულია და არ არის იმ მასშტაბის, რომ მასში მონაწილეობა ყველა მსჯავრდებულმა შეძლოს. ამასთან, შემოთავაზებულ ღონისძიებებშიც კი დაბალია მსჯავრდებულთა ჩართულობის მაჩვენებელი (მაგალითად, საგანმანათლებლო ღონისძიებები), რაზეც შესაძლოა, გარკვეული გავლენა ჰქონდეს პენიტენციურ სისტემაში დამკვიდრებულ სუბკულტურას.

არსებული გამოწვევების ფონზე კვლევის გუნდი მიიჩნევს, რომ:

- ეფექტიანი და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული პრევენციული მექანიზმების ჩამოყალიბების მიზნით, სახელმწიფომ უნდა დაიწყოს აქტიური მუშაობა დანაშაულის პრევენციის არსებული პოლიტიკის ცვლილებებზე;
- სახელმწიფომ უნდა გააძლიეროს მუშაობა დანაშაულის პირველი და მეორე დონის პრევენციის კუთხით. ამ მიზნით მნიშვნელოვანია სამართალდამცავი სისტემების აქტიური თანამშრომლობა სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
- კრიმინოლოგიური კვლევები ქვეყანაში გონივრული ინტენსივობით უნდა წარმოებდეს და პერმანენტული ხასიათი ჰქონდეს, რათა მის საფუძველზე დაგეგმილი პრევენციული პოლიტიკა მუდმივად იყოს შესაბამისი არსებულ ვითარებასთან. მიზანშეწონილია, კრიმინოლოგიური კვლევების საფუძველზე პრევენციული პოლიტიკის განსაზღვრის საკითხი პოლიტიკის დოკუმენტებში გაიწეროს;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დამკვიდრებისთვის სამინისტრომ სათანადო ნაბიჯები უნდა გადადგას ინსტიტუციური დემოკრატიის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გასაძლიერებლად;
- საპოლიციო საქმიანობის ახალი მოდელების დამკვიდრების პარალელურად, აუცილებელია, სახელმწიფომ დაიწყოს მსჯელობა იმ არსებული მექანიზმების (ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის) და სტრუქტურული ერთეულების (უბნის ინსპექტორის სამსახურის) გარდაქმნაზე, რაც არ არის შესაბამისი საქმიანობის ინიცირებულ მოდელებთან;
- სახელმწიფომ უნდა გადახედოს მართლწესრიგის ოფიცრებისთვის განსაზღვრულ უფლებამოსილებებს და მათი მანდატი და საქმიანობის ტექნიკა დაუახლოოს განვითარებულ დემოკრატიებში საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოქმედ მოდელებს. ამ მიზნით აუცილებელია, მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქციები მკაფიოდ იყოს გამიჯნული პოლიციის სხვა დანაყოფის ფუნქციებისგან;
- პენიტენციურ სისტემაში უნდა გააქტიურდეს სრულწლოვანთა თავისებურებებსა და საჭიროებებზე მორგებული პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საგანმანათლებლო და სასჯელის მოხდის შემდგომ დასაქმების შესაძლებლობებზე;

- მნიშვნელოვანია, შეიქმნას პრევენციულ ღონისძიებებში თანაბარი ჩართულობის საფუძველი და წახალისდეს მათში მსჯავრდებულთა მონაწილეობა. ამ მიზნით აუცილებელია, სახელმწიფომ იმუშაოს სისტემაში დამკვიდრებული სუბკულტურის დასაძლევად, რაც ხელს უშლის მსჯავრდებულთა აქტიურ ჩართულობას პრევენციულ პროგრამებში.

ნაწილი I
დანაშაულის პრევენციის გაგება

თავი I კრიმინოლოგიური თეორიები – რეალისტური კრიმინოლოგია (მოკლე მიმოხილვა)

მემარჯვენე რეალიზმი

რეალისტური კრიმინოლოგიური თეორიების განვითარება უკავშირდება დანაშაულის პრევენციის ეფექტიანი პოლიტიკის შექმნის აუცილებლობას, რომლის ჩარჩოში ორი იდეოლოგიურად განსხვავებული მიდგომა – მემარჯვენე და მემარცხენე რეალიზმი განვითარდა.⁵

მემარჯვენე რეალიზმი დანაშაულის ტრადიციულ განსაზღვრებას ეფუძნება – უარყოფს სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტის მნიშვნელობას დანაშაულის ახსნისას და ორიენტირებულია დანაშაულის კონტროლისა და შეკავების იდეაზე. უფრო კონკრეტულად კი, ეს მიდგომა უგულებელყოფს კავშირს სიღარიბესა და დანაშაულის ზრდას შორის. ამ გაგებით, მემარჯვენე რეალიზმი დანაშაულს განიხილავს, როგორც კერძო, ინდივიდუალურ მიზეზებზე წარმოშობილ ქცევას, ვიდრე ფართოდ სოციალური და სტრუქტურული პრობლემებით განპირობებულ ქმედებას. მემარჯვენე რეალიზმი, გარკვეულწილად, იზიარებს ადამიანის ქცევის ბიოლოგიურ საფუძვლებს, ხაზს უსვამს ცალკეულ ჯგუფებსა და ინდივიდებში დანაშაულისკენ თანდაყოლილ მიდრეკილებას. მემარჯვენე რეალიზმის ფარგლებში დანაშაულზე რეაქცია კონტროლსა და სადამსჯელო პოლიტიკას ეყრდნობა.⁶

მემარჯვენე რეალიზმის თვალთახედვით, დანაშაულის ზრდა უკავშირდება მორალური ღირებულებებისა და სოციალური კონტროლის მოშლას. ამ მიდგომის მიმდევრების მიხედვით, დანაშაულთა უმეტესობა მოდის სოციალურად დაბალი ფენიდან, რომელიც საზოგადოების მორალურად დაბაკ სემინტს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ იდეის თანახმად, დანაშაული ეფუძნება მორალურ და არა ეკონომიკურ სიღარიბეს.⁷ მემარჯვენე რეალიზმმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის ფორმირებაზე სხვადასხვა ქვეყანაში, რაც, ძირითადად, სიტუაციური პრევენციის მეთოდებზე დაყრდნობით ხორციელდებოდა და დასჯაზე ორიენტირებული მიდგომით გამოირჩეოდა. მემარჯვენე რეალიზმის პრევენციული სტრატეგია მოიცავს დაცვის ფიზიკური ზომების გამოყენებას საზოგადოებისა და ბიზნესსექტორის უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით. მისთვის დამახასიათებელია პოლიციის ინტენსიური წარმომადგენლობა იმ არეალში, სადაც დანაშაულის მაჩვენებელი მაღალია; დამნაშავის კონტროლი და იმ ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდვა, რამაც შესაძლოა, დანაშაულის ჩადენას შეუწყოს ხელი.⁸

5 McLaughlin, E. and Muncie, J. The SAGE dictionary of criminology, 2013, London: Sage

6 Newburn, T. (2009) Key Readings in Criminology, Cullompton: Willan

7 Newburn, T. (2017) Criminology, London: Routledge

8 Wilson, J.Q. and Kelling, G. (1982) Broken Windows. In Newburn, T. (ed.) (2009) Key Readings in Criminology. Cullompton: Willan

პოლიტიკის ფორმირებაზე ზეგავლენის მიუხედავად, ლიტერატურა კრიტიკულად აფასებს მემარჯვენე რეალიზმის იდეას. ამ მიმართულებას ძირითადად იმის გამო აკრიტიკებენ, რომ ის არ იზიარებს დანაშაულის გამომწვევ ძირეულ მიზეზებს. მაგალითისთვის, მემარჯვენე რეალიზმი სათანადო ყურადღებას არ უთმობს იმგვარ სოციალურ სტრუქტურულ გავლენებს ადამიანის ქცევაზე, როგორცაა სიღარიბე, უთანასწორობა, დისკრიმინაცია და სისტემური დაუცველობა.⁹ ის არასათანადოდ აფასებს ძალაუფლების როლს დანაშაულის ახსნისას, გადაჭარბებულად არის ორიენტირებული ადამიანის ქმედების რაციონალურობაზე და სათანადო ყურადღებას არ აქცევს სამოხელეო და სხვა მსგავსი კატეგორიის დანაშაულს.¹⁰

მემარცხენე რეალიზმი

აღნიშნულის საპირისპიროდ, მემარცხენე რეალიზმი მიზნად ისახავს დანაშაულის წარმოშობისა და მასზე რეაგირების რეალურად ქმედითი მეთოდების შემუშავებას. როგორც ლიტერატურაში აღნიშნავენ, მემარცხენე რეალიზმი ორიენტირებულია, მიზეზობრივი ახსნა მოუძებნოს დანაშაულს, შეისწავლოს დანაშაულის მსაზღვრელ ელემენტებს – დამნაშავეს, მსხვერპლს, ფორმალურ და არაფორმალურ კონტროლს შორის არსებული კავშირი და შექმნას დანაშაულზე რეაგირების ჩარჩო, ე.წ. დანაშაულის კვადრატი.¹¹ დანაშაულის ჩარჩო აერთიანებს ყველა აქტორს, ვისაც შეიძლება ჰქონდეს კავშირი დანაშაულთან, კონკრეტულად: დამნაშავეს, მსხვერპლს, სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებას. დანაშაულის კონტროლის რეალისტური პერსპექტივა მოითხოვს დანაშაულის ჩარჩოს ყველა ელემენტზე რეაგირებას, რომელიც, გარკვეულწილად, ხელს უწყობს დანაშაულს – იქნება ეს უმუშევრობა, საზოგადოებრივი მობილიზების დაბალი დონე, არაეფექტიანი საპოლიციო საქმიანობა თუ სხვა.

მემარცხენე რეალიზმი აუცილებლობად მიიჩნევს დანაშაულის პრობლემად გააზრებას და ყურადღების გამახვილებას როგორც დანაშაულის შესაძლო გამომწვევ მიზეზებზე, ასევე მის გავლენაზე საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და წესრიგზე. ამ თვალსაზრისით, ამ მიდგომისთვის აუცილებელია, დანაშაულის მართვის პოლიტიკა ადგილობრივ დონეზე დანაშაულის კვლევის შედეგებს დაეფუძნოს, რაც გამოავლენს დანაშაულის ძირითად ინდიკატორებს. ამავდროულად, მემარცხენე რეალიზმი აღიარებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის აუცილებლობას მსხვერპლის დაცვის მიზნით და არ გამორიცხავს რეალური შედეგების მისაღწევად, სიტუაციური პრევენციის მეთოდების გამოყენებას. თუმცა ამ მიდგომისთვის დამახასიათებელია

9 Newburn, T. (2017) *Criminology*, Third Edition, Routledge: New York

10 Matthews, R. (2014) *Realist Criminology*, Basingstoke: Palgrave

11 Young, J. (1986) *The failure of Criminology: The need for a radical realism*, in Newburn, T. (ed) (2009) *Key Readings of Criminology*. Cullompton: Willan

სიტუაციური პრევენციის მეთოდების სოციალური პრევენციის მეთოდებთან კომბინაცია (სიტუაციურ და სოციალურ პრევენციას შორის განსხვავება უფრო დეტალურად შემდეგ თავში იქნება განხილული). ამგვარი მიდგომა აბალანსებს მეთოდებს და ამცირებს პოლიციის როლს დანაშაულის პრევენციის საკითხში.¹²

თუ მემარჯვენე რეალიზმი სოციალური წესრიგის შენარჩუნებას დანაშაულის შეკავებით ცდილობს, მემარცხენე რეალიზმი, მისგან განსხვავებით, აღიარებს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის როლს დანაშაულის პრევენციაში. იმ სისტემებში, სადაც პრევენციის პოლიტიკა მემარცხენე რეალიზმის იდეაზე დამყარებით განვითარდა, ეს პროცესი სოციალურ ინკლუზიასა და უწყებათაშორის თანამშრომლობაზე დაფუძნებულ საქმიანობად განიხილებოდა (მაგალითად, დიდ ბრიტანეთში). მემარცხენე რეალიზმი დანაშაულის სოციალური პრევენციის იდეით ხელმძღვანელობს და მისთვის მნიშვნელოვანია იმგვარი სტრატეგიის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს დე მარგინალიზაციას, საზოგადოების გარიყული წევრების ინკლუზიას. საპოლიციო ძალის შეზღუდვასთან ერთად, მემარცხენე რეალიზმისთვის მნიშვნელოვანია საპოლიციო სისტემების დემოკრატიზაცია, დანაშაულის პრევენციის საკითხებში საზოგადოების თანამშრომლობა და სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შეზღუდვა.¹³

მემარცხენე რეალიზმი განსაკუთრებით არის ორიენტირებული, მოაგვაროს დანაშაულისა და ვიქტიმიზაციის საკითხები მონეცვლად და ღარიბ ჯგუფებში. ამგვარი სწორხაზოვანი მიდგომის გამო, მას ხშირად აკრიტიკებენ, ვინაიდან ვერ ფარავს დანაშაულის ყველა სპექტრს და არ არის ეფექტიანი მდიდარ ჯგუფებში დომინირებულ დანაშაულებთან მიმართებით, როგორცაა ორგანიზებული, სამენარმეო და საბანკო-საფინანსო სფეროში ჩადენილი დანაშაული (crimes of the powerful).¹⁴ ამავდროულად, რადიკალური და კრიტიკული კრიმინოლოგიური თეორიებისგან განსხვავებით, მემარცხენე რეალიზმი უარყოფს იმ იდეას, რომ ზოგიერთი დანაშაულებრივი ქმედება (მაგალითად, წვრილმანი ქურდობა) შესაძლოა, განვიხილოთ, როგორც რეაქცია სიდუხჭირებზე, სოციალური სისტემებისგან შემოთავაზებულ მწირ შესაძლებლობებთან გამკლავების საშუალება. ამგვარი მიდგომით, ის თითქოს გამორიცხავს სტრუქტურული უსამართლობის გავლენას დანაშაულებრივ ქმედებაზე და უახლოვდება მემარჯვენე რეალიზმის იდეას;¹⁵ თუმცა მათ შორის ერთმნიშვნელოვნად განსხვავდება დანაშაულზე რეაგირების ტაქტიკა და მემარცხენე რეალიზმი უფრო მეტად არის ორიენტირებული გრძელვადიან შედეგზე, სოციალური ფონისა და კონტექსტის გაუმჯობესებით დანაშაულის პრევენციაზე.

12 Tierney, J., *Criminology: theory and context*, *British journal of criminology*, 1996, Vol.37 (3), p.473-475

13 Newburn, T. (2017) *Criminology*, Third Edition, Routledge, New York

14 Walklate, S., *Victimology: the victim in the criminal justice process*, *British journal of criminology*, 1989, Vol.30 (4), p.522-524

15 Newburn, T. (2017) *Criminology*, Third Edition, New York: Routledge

თავი II – პრევენციის ტიპოლოგია

პრევენციის დონეები

ლიტერატურაში დანაშაულის პრევენციის ბევრი განსხვავებული კლასიფიკაცია შეიძლება შეგვხვდეს,¹⁶ თუმცა დანაშაულის ტიპოლოგიაზე მსჯელობა, ძირითადად, პრევენციის სამდონიან მიდგომას ეფუძნება.¹⁷ ამ დოკუმენტის მიზანი არ არის, სიღრმისეულად ისაუბროს პრევენციის სამივე დონეზე, თუმცა ქვეყანაში არსებული პრევენციული სტრატეგიების ანალიზისთვის მიზანშეწონილია, მოკლედ მიმოვიხილოთ სამივე დონის თავისებურება და მის საფუძველზე ვიმსჯელოთ პრევენციის არსებულ მოდელებსა და თანმდევ გამონევენებზე.

პირველი დონის პრევენცია მიზნად ისახავს, შეაჩეროს დანაშაულის ჩადენა არსებული გარემოების ცვლილებით. კონკრეტულად კი, პირველადი პრევენცია რეაგირებს იმ სოციალურ პირობებსა და სიტუაციურ ფაქტორებზე, რომლებმაც შესაძლოა, განაპირობოს დანაშაულის ჩადენა.¹⁸ შესაბამისად, პირველი დონის პრევენციას არ ჰყავს განსაზღვრული სამიზნე ჯგუფი და მთლიანად საზოგადოებაზე ან მის ირგვლივ არსებული გარემოს ცვლილებაზეა ორიენტირებული.¹⁹ დანაშაულის განმაპირობებელი გარემოების პრევენცია, პირველ ყოვლისა მოითხოვს დანაშაულის შესაძლო მიზეზების ძიებას.²⁰ ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ პირველადი პრევენციის წარმატება შესაძლოა, დიდწილად ეფუძნებოდეს კონკრეტული გარემოს, ადგილის კრიმინოგენური კვლევის შედეგებს.

მეორე დონის პრევენცია მიზნად ისახავს დანაშაულის ადრეულ პრევენციას იმ ჯგუფთან მუშაობით, რომელიც შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენის ან ვიქტიმიზაციის რისკის წინაშე. ამ თვალსაზრისით, პირველადი პრევენციისგან განსხვავებით, მეორეულ პრევენციას უფრო კონკრეტული სამიზნე ჯგუფი ჰყავს. მეორეული პრევენციის მაგალითად ხშირად მოიხსენიებენ ლიტერატურაში საზოგადოებაზე ორიენტირებულ ან საზოგადოებაზე დაფუძნებულ პროგრამებს, როგორც შეიძლება იყოს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ბანაკი, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა და სხვა.²¹ მეორეული პრევენციის იდეას

16 Graham, J. (ed) 1987. Home Office Research Bulletin 24: special European edition. London: HMSO.

17 Brantingham, P. and Faust, F. 1976. A conceptual model of crime prevention. *Crime and Delinquency* 22, 284-96.

18 Lab, S. (2010) Crime Prevention approaches, practice and evaluations. Seventh edition. Bowling Green State University, Anderson publishing

19 Newburn, T. and Neyroud (eds) 2013. Dictionary of Policing. United Kingdom: Willan Publishing

20 Gilling, D. (1997) Crime Prevention Theory, policy and politics, London: UCL Press Limited

21 Battams, S., Delany-Crowe, T., Fisher, M., Wright, L., McGreevy, M., McDermott, D. and Baum., F. Reducing Incarceration Rates in Australia Through Primary, Secondary, and Tertiary Crime Prevention, *Criminal Justice Policy Review*, 2021, Vol.32 (6), p.618-645

ეფუძნება, ასევე, სამართლიანობის რეინვესტიციის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს პატიმრობის შემცირებას დანაშაულის განმაპირობებელ გარემოებებზე რეაგირებით.²² ეს ინიციატივა მოიცავს ადამიანური რესურსების გაძლიერებას, საზოგადოებრივი ერთობისა და ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას იმგვარ ადგილებში, რომლებიც დანაშაულის ჩადენისა და პატიმრობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა.²³

მესამე დონის პრევენცია უკვე ჩადენილ დანაშაულზე რეაგირებს ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდების მიზნით. ამდენად, მესამე დონის პრევენციას ჰყავს პირდაპირი სამიზნე ჯგუფი და ფოკუსირებულია იმ პირებზე, ვინც უკვე ჩაიდინა დანაშაული ან არის დანაშაულის მსხვერპლი. ამდენად, მესამე დონის პრევენცია არის ის ეტაპი, სადაც ყველაზე მაღალია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის როლი. შესაბამისად, პრევენციის პროცესში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების როლი აქტიურად შემოდის ბოლო – მესამეული პრევენციის ეტაპზე, იმ შემთხვევაში, როცა პირველ ორ დონეზე დანაშაულის თავიდან ასაცილებლად მიღებული ზომები არ არის საკმარისად შემაკავებელი ხასიათის.²⁴

პრევენციის ამგვარი ტიპოლოგია ნათელს ხდის, რომ დანაშაულის თავიდან აცილებისთვის გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს პირველ დონეს. ლიტერატურა პრევენციის ამ ეტაპს 'იდეალურ სამიზნედ' მოიხსენიებს,²⁵ რამდენადაც ამ დონეზე შესაძლებელი იმ გარემოების აღმოფხვრა, რომელმაც შესაძლოა, განაპირობოს დანაშაულის ჩადენა. ლიტერატურა აღიარებს, რომ პრევენციის დონეებს შორის ყველაზე ნაკლებად ეფექტიანი მესამე დონის პრევენციაა, რამდენადაც ის ყურადღებას არ ამახვილებს დანაშაულის შესაძლო მიზეზებზე. შესაბამისად, არ აქვს გარემოს ან სოციალური ვითარების გაუმჯობესების უნარი და მოქმედებს მხოლოდ რეაქტიულად, ინდივიდუალურად განსაზღვრულ პირთა მიმართ.²⁶ ამდენად, მესამე დონის პრევენციას შესაძლოა ჰქონდეს ეფექტი მხოლოდ ვიწროდ, კონკრეტული პირის, ინდივიდის მიმართ. ამ შემთხვევაშიც მისი წარმატება დიდწილად არის დამოკიდებული სისხლის სამართლის მთლიანი სისტემის გამართულობასა და ჯეროვან ფუნქციონირებაზე.

22 Ibid p.625

23 Fox, K., Albertson, K. and Wong, K.(2013) justice reinvestment: can the criminal justice system deliver more for less? London: Routledge

24 Gilling, D. (1997) Crime Prevention Theory, policy and politics, London: UCL Press Limited

25 Battams, S., Delany-Crowe, T., Fisher, M., Wright, L., McGreevy, M., McDermott, D. and Baum., F. Reducing Incarceration Rates in Australia Through Primary, Secondary, and Tertiary Crime Prevention, *Criminal Justice Policy Review*, 2021, Vol.32 (6), p.618-645

26 Gilling, D. (1997) Crime Prevention Theory, policy and politics, London: UCL Press Limited

დანაშაულის სიტუაციური პრევენცია

დანაშაულის პრევენციულ სტრატეგიაზე მსჯელობა ლიტერატურაში ხშირად ეფუძნება დანაშაულის სიტუაციური და სოციალური პრევენციის იდეას.²⁷ სიტუაციური პრევენცია არის სტრატეგია, რომელიც ცდილობს, შეამციროს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა, გახადოს ის უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომი და შედეგობრივად 'არამომგებიანი'.²⁸ პრევენციის ეს მოდელი ორიენტირებულია, გაზარდოს დანაშაულის გამოვლენის შესაძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება დანაშაულის შეკავება. სიტუაციური პრევენცია აქტიურად იყენებს დანაშაულზე რეაგირების კლასიკურ მეთოდებს და აგებულია სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების მონოპოლიზაციის იდეაზე.²⁹ სიტუაციური პრევენცია სხვადასხვა მეთოდს იყენებს საიმისოდ, რომ დაიცვას კონკრეტული დანაშაულის სამიზნე ჯგუფი. ეს შეიძლება იყოს ფიზიკური ბარიერის შექმნა პოტენციური დამნაშავესთვის ან სოციალური კამპანიის ინიცირება, რომელიც საზოგადოებას მოუწოდებს სიფრთხილისკენ და აწვდის კონკრეტულ რჩევებს ვიქტიმიზაციისგან თავის დაცვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრევენციულ სტრატეგიას შეიძლება ჰქონდეს გარკვეული როლი დანაშაულის შეკავების კუთხით, იგი მეტწილად ფიზიკური და ტექნოლოგიური დაცვის სისტემებით მუშაობს. ეს მეთოდი კი ხშირად საპოლიციო საქმიანობის ნაწილად აღიქმება და შეიცავს საზოგადოებრივი კონტროლის, პერსონალური მონაცემებისა და პირადი ცხოვრების ხელყოფის მაღალ რისკს.³⁰

სიტუაციური პრევენცია, არა მხოლოდ ადამიანის უფლებებში ჩარევის მაღალი რისკით ხასიათდება, არამედ მწირია მისი პრევენციული მასშტაბიც, რამდენადაც ამ სტრატეგიას შეუძლია, მხოლოდ კონკრეტულ ადგილას და სივრცეში შეაკავოს დანაშაული. ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, სიტუაციური პრევენცია 'გადაადგილებს დანაშაულს' მისთვის უფრო ხელსაყრელ გარემოში, მაგრამ ვერ ამცირებს მას.³¹ ამ თვალსაზრისით, სიტუაციურ პრევენციას შესაძლოა, უკუშედეგებიც ჰქონდეს, განსაკუთრებით კი ღარიბ ან ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ურბანულ სივრცეებში. როგორც ზემოთ განვითარებულმა მსჯელობამ ცხადყო, სიტუაციური პრევენცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კონკრეტული ადგილების ინფრასტრუქტურულ მონაცემებზე, შესაბამის ტექნოლოგიებზე.³² მსგავს

27 Newburn, T. (2017) *Criminology*, Third Edition, Routledge, New York

28 Caputo, T. and Vallée, M. Creating Safer Communities for Children and Youth: The Role of the Police in Crime Prevention, *International journal of child, youth & family studies* IJCYS, 2010, Vol.1 (1), p.78

29 Liebling, A., Maruna, S. and McAra, L. (2017) *The Oxford handbook of criminology*, Oxford: Oxford University Press

30 Gilling, D. (1997) *Crime Prevention Theory, policy and politics*, London: UCL Press Limited

31 Newburn, T. (2017) *Criminology*, Third Edition, Routledge, New York

32 Clarke, R. (2021) *Situational Crime Prevention: Theoretical background and Current Practice in:* Simpson, D., Jensen, V. and Rubing, A. *The City Between Freedom and Security: Contested Public Spaces in 21st Century*, Basel: Walter de Gruyter GmbH

ინფრასტრუქტურაზე წვდომა ღარიბ ან ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ტერიტორიებზე შეზღუდულია.³³ ამავდროულად, შესაბამისი ინფრასტრუქტურით სივრცეების უზრუნველყოფა, რასაც შესაძლოა დანაშაულის შეკავების ეფექტი ჰქონდეს, არ არის დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო ორგანოებზე. აღნიშნული გადაწყვეტილება შესაძლოა, კერძო პირებმა დამოუკიდებლად მიიღონ, თავიანთი სივრცის უსაფრთხოების მიზნით,³⁴ რაც, გარკვეულწილად, ხელს უწყობს უსაფრთხოების პრივატიზაციას და ზრდის ფიზიკურად უსაფრთხო გარემოზე ხელმისაწვდომობის რისკს. რესურსების არათანაბარი გადანაწილების პირობებში კი, სიტუაციური პრევენციის მეთოდებზე დაყრდნობამ შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად შეუწყოს ხელი სივრცით სტიგმატიზაციას და ტერიტორიების დაყოფას დანაშაულის მიმართ მონწყვლადობის თვალსაზრისით.³⁵

ლიტერატურაში არსებული განსხვავებული მოსაზრებების მიუხედავად,³⁶ სიტუაციური პრევენცია შესაძლოა, ეფექტიანი იყოს მხოლოდ თანმხვედრი პოლიტიკის არსებობისას, რაც ურბანული სივრცეების თანაბარ განვითარებას, პრევენციული სტრატეგიების ადგილობრივი კონტექსტის შესაბამისად დაწერგვას და სათანადო საპოლიციო მოდელების შემუშავებას მოითხოვს. სხვაგვარად, სიტუაციური პრევენციის ფარგლებში გარდაუვალი იქნება დანაშაულის 'გადინება' განვითარებული, ეკონომიკურად ძლიერი ტერიტორიებიდან ღარიბ, ნაკლებად განვითარებულ სივრცეებში,³⁷ რაც კიდევ უფრო მეტად პრობლემური შეიძლება იყოს მზარდი ურბანიზაციის პირობებში.

დანაშაულის სოციალური პრევენცია

დანაშაულის სოციალური პრევენცია ორიენტირებულია, გამოავლინოს, თუ რა უბიძგებს ადამიანს დანაშაულის ჩადენისკენ. შესაბამისად, სოციალური პრევენცია, განსხვავებით სიტუაციური პრევენციისგან, მიზნად ისახავს დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის შემცირებას და მისწრაფვის, აღმოფხვრას ან შეცვალოს ის სოციალური პირობები, 'რისკფაქტორები', რომლებიც შეიძლება განაპირობებდეს დანაშაულს.³⁸ ზოგიერთი

33 Lab, S. (2010) Crime Prevention approaches, practice and evaluations. Seventh edition. Bowling Green State University, Anderson publishing

34 Wakefield, A. (2003) Selling Security: The private policing of public space. Cullompton, Devon: Willan Publishing

35 Hur, M. and Nasar, J. Physical upkeep, perceived upkeep, fear of crime and neighborhood satisfaction, *Journal of environmental psychology*, 2014, (38), p.186-194

36 Weisburd, D., Wyckoff, L., Ready, J. and Eck, J. Does crime just move around the corner? A controlled study of spatial displacement and diffusion of crime control benefits, *Criminology*, 2006, 549-92

37 Clarke, R. V. and Weisburd, D. Diffusion of crime control benefits: Observations on the reverse of displacement, *Crime prevention studies*, 1994, 2:165-84.

38 Hope, T. (2001) Community Crime Prevention. In Tonry, M. and Farrington, D. (eds) *Building Safer Communities*, Chicago, IL: University of Chicago Press

ავტორი ამგვარ რისკფაქტორად მიიჩნევს სიღარიბეს, უმუშევრობას, მარგინალიზაციას, მწირ სოციალურ, რეკრეაციულ, საგანმანათლებლო შესაძლებლობას და სხვა.³⁹ ამდენად, სოციალური პრევენციის თვალსაწიერი ფართოა და ის არ მუშაობს მხოლოდ უსაფრთხოების სისტემის მეშვეობით. სოციალური პრევენცია მრავალდარგობრივ თანამშრომლობაზე დაფუძნებული და მიზნის მიღწევას სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტებით ცდილობს. კონკრეტულად, დანაშაულის სოციალური პრევენცია ორიენტირებულია იმგვარ საკითხებზე, როგორცაა საცხოვრისის, საოჯახო და განათლების, ახალგაზრდათა შრომისა და დასაქმების პოლიტიკა, მკურნალობისა და განათლების სისტემების გაუმჯობესება, წამალდამოკიდებულებისა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის მიზნით და სხვა.⁴⁰ შესაბამისად, სოციალური პრევენცია მოიცავს ინტერვენციის ფართო სპექტრს დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით.

ამ ლოგიკით, სოციალური პრევენციის იდეა მნიშვნელოვნად განსხვავდება დანაშაულის პრევენციის სხვა მოდელისგან. ის არის პრევენციის მონაწილეობითი მოდელი, რომელიც მეტწილად ეფუძნება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის გარეთ არსებულ ორგანოებთან თანამშრომლობას.⁴¹ მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურა ხაზს უსვამს პოლიციის შეზღუდულ როლს სოციალური პრევენციის პროცესში, ეს მიდგომა ერთმნიშვნელოვნად არ გამორიცხავს პოლიციის ფუნქციას დანაშაულის პრევენციის საკითხებში. თუმცა, ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, სოციალური პრევენცია მოითხოვს არაკლასიკური, ნაკლებად რეპრესიული საპოლიციო მოდელის ჩართვას პრევენციის პროცესში, როგორც შესაძლოა იყოს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა.⁴² მიუხედავად იმისა, რომ სოციალური პრევენცია ნაკლებად მკაცრი მექანიზმებით მოქმედებს და ორიენტირებულია სოციალურ კეთილდღეობაზე, მის მიმართ არსებობს რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა/მოსაზრება ლიტერატურაში. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ სოციალური პრევენცია ვერ ფარავს დანაშაულის ყველა ტიპს და ხელშემწყობ ფაქტორს. ეს შესაძლოა, ლეგიტიმური კრიტიკა იყოს, ვინაიდან სხვადასხვა ტიპის დანაშაულს სხვადასხვა მსაზღვრელი აქვს. ამიტომაც მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს პრევენციული პოლიტიკა ეფუძნებოდეს ეფექტიან კრიმინოგენურ კვლევას, რომელიც გამოავლენს ქვეყანაში არსებულ დანაშაულებრივ ტრენდს და შეისწავლის მის გამომწვევ მიზეზებს.⁴³

39 Caputo, T. and Vallée, M. Creating Safer Communities for Children and Youth: The Role of the Police in Crime Prevention, *International journal of child, youth & family studies* IJCYFS, 2010, Vol.1 (1), p.78

40 Graham, J. (1990) *Crime Prevention strategies in Europe and North America*. Helsinki: HEUNI

41 Rossenbaum, D. 1988. Community crime prevention: a review and synthesis of the literature. *Justice Quarterly*, 5, 323-95

42 Hobson, J., Lynch, K., Payne, B. and Ellis, L. Are Police-Led Social Crime Prevention Initiatives Effective? A Process and Outcome Evaluation of a UK Youth Intervention, *International Criminal Justice Review*, 2021, Vol. 31(3) 325-346

43 Newburn, T. (2017) *Criminology*, Third Edition, Routledge: New York

საქართველოს კონტექსტში სოციალური პრევენციის მოდელისა და კრიმინოლოგიური კვლევის მნიშვნელობაზე მსჯელობისთვის უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპისთვის კვლევის ჭკუფი არ ფლობს ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებული ერთიანი კრიმინოლოგიური კვლევისა და მისი შედეგების შესახებ, თუმცა, დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ საქართველოში მწირია შესაბამისი ორგანოების მიერ კრიმინოლოგიური კვლევისა და მის საფუძველზე პრევენციული პოლიტიკის განსაზღვრის პრაქტიკა. სააგენტო ინფორმაციას ფლობს მხოლოდ ორი სახის კრიმინოლოგიურ კვლევაზე, რომლებიც უფრო ვიწრო, კონკრეტული რაკურსით 2015 და 2018 წლებში განხორციელდა. ცხადია, ამ მასშტაბისა და ინტენსივობის კვლევის საფუძველზე პრევენციის ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება რთულია. რამდენადაც პრევენციული პოლიტიკა არსებული ვითარების შესაბამისი და მისი თანმდევი უნდა იყოს, ამიტომაც ის ინტენსიურ დაკვირვებას და, საჭიროების შემთხვევაში, – სტრატეგიის ცვლილებას მოითხოვს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცალკეულ დანაშაულთან მიმართებით პერიოდულად კვლევებს ატარებს საქართველოს პროკურატურაც, თუმცა, როგორც მეთოდოლოგიაშია აღნიშნული, დოკუმენტი დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებს იკვლევს მხოლოდ საპოლიციო და პენიტენციური სისტემის ფარგლებში. ამიტომაც, კვლევაში არ არის გაანალიზებული სხვა სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკა. აღნიშნული საკითხი დამატებით შესწავლას და ანალიზს მოითხოვს.

როგორც ადრეული კვლევები და კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს,⁴⁴ დანაშაულის პრევენციის არსებული სტრატეგია საქართველოში უფრო მეტად სიტუაციური პრევენციის მოდელზეა აგებული. პრევენციის მექანიზმები ძირითად საპოლიციო და სამართალდამცავი სისტემის ფარგლებშია მოქცეული და რეაქტიული მეთოდებით მოქმედებს მაშინ, როდესაც ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სოციალური პრევენციის მოდელი შესაძლოა, უფრო მიზანშეწონილი და ეფექტიანი იყოს დანაშაულის პრევენციის კუთხით, განსაკუთრებით კი სიღარიბის მზარდი მაჩვენებლის ფონზე.⁴⁵ როგორც კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია ცხადყოფს, დღეს ქვეყანაში 2017 წლიდან ყველაზე მაღალია სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა რაოდენობა – 177897 (2017 წელს აღნიშნული რიცხვი 166 046-ს შეადგენდა). წინა წლებთან შედარებით გაზრდილია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში რეგისტრირებულ პირთა (2021 წლის მონაცემებით, 350 959), საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისა (2021 წლის მონა-

44 დანაშაულის პრევენცია – საპოლიციო კონტროლის რისკები, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3UYpiIF> ბოლოს ნანახია: 04.10.2022.

45 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის 30 სექტემბრის N 7-2241 წერილით მიღებული ინფორმაცია.

ცემებით, 174 379) და საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის წილი საშუალო წლიურ მოსახლეობაში (15.8%).⁴⁶

მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად კრიტიკულია ქვეყანაში განათლების,⁴⁷ ჯანდაცვის,⁴⁸ უსახლკარობისა და სათანადო საცხოვრისთან დაკავშირებული პრობლემებიც.⁴⁹ ამ ვითარებაში სახელმწიფომ უნდა გამოიკვლიოს დანაშაულის სოციალური მსაზღვრელების გავლენა მთლიან კრიმინოგენურ მდგომარეობაზე და აწარმოოს სოციალური პოლიტიკის თანმდევი სისხლის სამართლის პოლიტიკა ქვეყანაში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით გადაისინჯოს და განისაზღვროს. საქართველოში არსებული სოციალური ვითარება პრევენციის თანმხვედრ სტრატეგიას მოითხოვს. მხოლოდ სიტუაციური პრევენციის ფარგლებში, რომელიც რეაქტიული მეთოდებით მოქმედებს, დანაშაულის პრევენციას მდგრადი, განგრძობადი ეფექტი ვერ ექნება. ამიტომაც, მნიშვნელოვანია პრევენციის არსებული ტენდენციების გადახედვა და პრევენციული პოლიტიკის სოციალური პრევენციის ჩარჩოში განვითარება.

46 იქვე.

47 პაპიაშვილი, ა. და ბუენიძე, თ. უმაღლესი განათლება და სოციალური სამართლიანობა, სტუდენტთა საჭიროებების კვლევა, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CNpoCX> ბოლოს ნანახია: 10.10.2022.

48 ბეგაძე, მ. მედიკამენტების ეკონომიკური ხელმისაწვდომობის უფლებრივი და ეკონომიკური განზომილებები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3F3Mwgr> ბოლოს ნანახია: 28.11.2022.

49 ქაშაკაშვილი, ნ. უსახლკარო პირის ცნება და პირის უსახლკაროდ მიჩნევის კრიტერიუმები, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3EDWSEO> ბოლოს ნანახია: 10.10.2022.

ნაწილი II

დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა საქართველოში

პრევენცია, როგორც პოლიტიკური კატეგორია

როგორც ზემოთ მოცემული მიმოხილვა ცხადყოფს, დანაშაულის პრევენცია განსხვავებულ თეორიულ, იდეოლოგიურ სანყისებს ეფუძნება და ჩარევის სხვადასხვაგვარ მექანიზმს გვთავაზობს. პრევენციის მრავალგანზომილებიანი ბუნება მას პოლიტიკურად მომგებიან კატეგორიად აქცევს,⁵⁰ რამდენადაც დანაშაული აქტუალური პოლიტიკური საკითხია, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ხელისუფლების მართვის სტილზე, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაზე სახელმწიფოში. ამასთან, პრევენციის იდეოლოგიურად მოქნილი ბუნება ხელმისაწვდომს ხდის მას ნებისმიერი პოლიტიკური ჯგუფისთვის. პრევენციის იდეა თანაბრად ემსახურება როგორც მემარცხენე სოციალურ ინტერვენციებზე დაშენებულ ჩარევას, ასევე მემარჯვენე – ბაზარსა და კერძო პასუხისმგებლობაზე დაფუძნებულ ამბიციებს.⁵¹ ამავდროულად, დანაშაული მუდმივად მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებას, ხოლო საზოგადოება – სახელმწიფოს ეფექტიანობას დანაშაულთან ბრძოლის კუთხით. ამდენად, პრევენცია შესაძლოა ხელისუფლების პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცეს, განსაკუთრებით კი სუსტი და ღარიბი სახელმწიფოებისთვის, სადაც მძიმე სოციალური ფონი და დანაშაულის მაღალი მაჩვენებელია. ამდენად, დანაშაულის პრევენცია შესაძლოა, მუდმივად იყოს პოლიტიკური დაპირებების ნაწილი და კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფის ლეგიტიმაციის შენარჩუნების მექანიზმიც. დანაშაულის პრევენციის პოლიტიკურ ხასიათთან დაკავშირებით არსებული კრიტიკაც იმ არგუმენტს ეფუძნება, რომ ხელისუფლებამ ლეგიტიმაციის შენარჩუნების მიზნით შესაძლოა, ინტენსიურად რეაქტიული პრევენციული მეთოდები გამოიყენოს. ამგვარი სტრატეგია მართვის პოლიტიკურად მომგებიანი მეთოდია, რამდენადაც მან შესაძლოა, შეიქმნას სახელმწიფოს ეფექტიანი საქმიანობის ილუზია, რომელიც სინამდვილეში არ არის მიმართული ძირეული სოციალური ცვლილებებისკენ. მაშინ, როდესაც პრევენციული პოლიტიკა შეიძლება წარმატებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს საფუძვლიანი სტრუქტურული ცვლილებების უნარი.⁵²

50 Gilling, D. (1997) *Crime Prevention Theory, policy and politics*, London: UCL Press Limited

51 Freeman, R. (1992). The idea of prevention: a critical review. In S. Scott, G. Williams, S. Platt, h. Thomas (eds). *Private risks and public dangers*, Aldershot: Avebury

52 Billis, D. 1981. At risk of prevention. *Journal of Social Policy* 10 (3), 367-79

დანაშაულის პრევენცია და სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური ჩარჩო

პრევენციის პოლიტიკურად მოქნილი ბუნების მიუხედავად, სახელმწიფოს პრევენციული პოლიტიკის განსაზღვრა კონსტიტუციურ ჩარჩოში უწევს. შესაბამისად, სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც კონცენტრირებულია, კაპიტალური წყობის გადარჩენის მიზნით შეინარჩუნოს უთანასწორო და უსამართლო სოციალური წესრიგი,⁵³ შესაძლოა, სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციური იდეით დაბალანსდეს. სოციალური სახელმწიფოს იდეა, ავალდებულებს სახელმწიფოს, არ ანარმოს იმგვარი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სიღარიბისა და უთანასწორობის განგრძობად რეპროდუქციას.

სოციალური სახელმწიფოს დამკვიდრება საქართველოს კონსტიტუციის პრემამულამ მოქალაქეთა ურყევ ნებად გამოაცხადა.⁵⁴ სოციალური სახელმწიფოს იდეისა და სოციალური უფლებების კონსტიტუციონალიზებით, სახელმწიფომ აიღო მოქალაქეთა კეთილდღეობის არსებითი მოთხოვნებისა და ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობების დაკმაყოფილების ვალდებულება. ამ კონსტიტუციური ცვლილებით ქვეყანაში შეიქმნა სათანადო ნორმატიული სტანდარტი, რამაც სახელმწიფო ინსტიტუტებს სოციალური სახელმწიფოს ჩარჩოში მოქმედება დაავალა.⁵⁵ განსხვავებული მიდგომის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ სოციალური უფლებების ჭეშოვანი რეალიზების შედეგები ფართოა და ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დანაშაულის პრევენციაზე. უფრო მეტიც, ლიტერატურამ დიდი ხანია, აღიარა სისხლის სამართლის, უფრო კონკრეტულად კი, დანაშაულის პრევენციის პოლიტიკის დამოკიდებულება სოციალურ პოლიტიკაზე, რამდენადაც, სათანადო სოციალურ პოლიტიკას აქვს უნარი, ებრძოდეს იმ სოციალურ მიზეზებს, რომლებიც იწვევს ცალკეული ტიპის დანაშაულს.⁵⁶

დანაშაულის პრევენცია სოციალური სახელმწიფოს იდეის ფარგლებში უნდა გასცდეს პრევენციის კლასიკურ გაგებას, რაც მას ვინაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფარგლებში აქცევს. საპირისპიროდ, დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა სოციალური პოლიტიკის თანმიმდევრულად, არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, უნდა შეიქმნას. ამ თვალსაზრისით, ლოგიკურია, რომ პრევენციის პოლიტიკა დანაშაულის სოციალური პრევენციის სტრატეგიაზე დაყრდნობით განვითარდეს, თუმცა ამავდროულად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის სოციალური პრევენციის იდეა მიზნის მიღწევას მხოლოდ თანმხვედრი სოციალური

53 Coleman, R. *State, power, crime*, (2009), London: SAGE

54 საქართველოს კონსტიტუცია, პრემამულა, 1995.

55 ნაცვლიშვილი, ვ.; ღვინიაიძე, ლ., ერისთავი, კ. და ქაშაკაშვილი, ნ. სოციალური უფლებების შესახებ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი (ზოგადი ნაწილი), *აკადემიური მაცნე*, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, სპეციალური გამოცემა, 2017, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CifYfw> ბოლოს ნანახია: 03.10.2022

56 Rudolph, M. and Starke, P. How does the welfare state reduce crime? The effect of program characteristics and decommodification across 18 OECD-countries, *Journal of Criminal Justice*, 2020 (68)

პოლიტიკის წარმოების შემთხვევაში შეძლებს. მიუხედავად იმისა, რომ კვლავაც საკამათოა სოციალური სახელმწიფოს იდეაზე დაფუძნებული პრევენციის პოლიტიკის პოზიტიური როლი იმგვარ კატეგორიებთან, როგორცაა ვიქტიმიზაცია, დანაშაულის აღქმა, დანაშაულის შიში, სოციალურ პოლიტიკას აქვს მნიშვნელოვანი როლი დანაშაულის პრევენციაში. რამდენადაც სოციალურ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს განათლებას, ჯანდაცვასა და საცხოვრისზე სათანადო ხელმისაწვდომობას, აზღვევს უმუშევრობის ზრდას, აქვს მნიშვნელოვანი პოტენციალი, სამომავლო პერსპექტივაში შეამციროს დანაშაული. შესაბამისად, დანაშაულის პრევენცია სოციალური პოლიტიკის მექანიზმებით არის კლასიკური პრევენციული პოლიტიკის გრძელვადიან პერსპექტივებზე გათვლილი მყარი ალტერნატივა.⁵⁷

როგორც ზემოთ ითქვა, დღესდღეობით ქვეყანაში არსებული დანაშაულის პრევენციის პოლიტიკა უფრო მეტად სიტუაციური პრევენციის საფუძვლებზეა განვითარებული და ნაკლებად მოქმედებს სოციალური პრევენციის ჩარჩოში. ამავდროულად, ქვეყნის სოციალური პოლიტიკა სათანადოდ ვერ პასუხობს საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებს ბევრი მიმართულებით,⁵⁸ ამ ფონზე კი სადავოა სოციალური პოლიტიკის პოზიტიური გავლენა დანაშაულის პრევენციაზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა, მხოლოდ სოციალური პოლიტიკა არ იყოს საკმარისი მექანიზმი დანაშაულის პრევენციისთვის და მისი ეფექტიანობის განსაზღვრა სათანადოდ, ინდივიდუალური ინდიკატორების ანალიზით უნდა დადგინდეს, თუმცა ნათელია, რომ სახელმწიფოს სჭირდება ბალანსის დაცვა სიტუაციურ და სოციალურ პრევენციას შორის, მდგრადი, გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად და ამ მიზნით, სოციალური პოლიტიკის როლის გააქტიურება დანაშაულის პრევენციის საკითხებში.

ამასთან, სახელმწიფოს შესაძლოა ჰქონდეს არგუმენტი, რომ სოციალური პრევენციის კომპონენტები შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში ვლინდება (კანონმდებლობით, პოლიტიკის დოკუმენტებით და სხვა). ცხადია, პრობლემურ სოციალურ საკითხებზე მუშაობას გარკვეული დადებითი ეფექტი აქვს დანაშაულის პრევენციაზე, თუმცა პრევენციის არსებული პრაქტიკის გადააზრების გარეშე, რთულია, კონკრეტულ საკითხებზე ფრაგმენტულ რეაგირებას სათანადოდ შედეგი ჰქონდეს. სოციალური პრევენციის მეთოდების გასაძლიერებლად სახელმწიფოს პრევენციის საპოლიციო ღონისძიების ცვლილებასთან ერთად სჭირდება, გააანალიზოს, რა პრევენციული ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ცალკეულ სოციალურ საკითხთან მიმართებით მის მიერ მიღებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებას თუ შემუშავებულ პოლიტიკას.

57 Altamirano, M., Berens, S. and Ley, S. The Welfare State amid Crime: How Victimization and Perceptions of Insecurity Affect Social Policy Preferences in Latin America and the Caribbean, *Politics & Society* 2020, 48(3) 389–422

58 2020 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CryUet> ბოლოს ნანახია: 03.10.2022; 2021 წლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შეფასება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3SxgIpA> ბოლოს ნანახია: 03.10.2022.

პრევენცია ხელისუფლების პოლიტიკურ პროგრამებში

სოციალური და სისხლის სამართლის პოლიტიკა, როგორც ცალკეული კატეგორიები, ასევე იყო „ქართული ოცნების“ პოლიტიკური პროგრამის ნაწილი ათწლიანი მმართველობის პერიოდში. სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებისა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ფორმირების შესახებ განსაკუთრებულ აქცენტებს პარტიის 2012 წლის საარჩევნო პროგრამა შეიცავდა.⁵⁹ მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამას დანაშაულის პრევენციის საკითხებზე პირდაპირი აქცენტი არ ჰქონია და სისხლის სამართლის პოლიტიკასთან დაკავშირებული იდეებიც უმეტესწილად პასუხისმგებლობისა და სასჯელის პოლიტიკის ცვლილებებზე იყო ორიენტირებული, პროგრამით გათვალისწინებული სოციალური პოლიტიკის ჯეროვან წარმართვას შესაძლოა, დადებითი ეფექტი ჰქონოდა დანაშაულის პრევენციაზეც. ეს ხაზი შემდგომი წლების საარჩევნო პროგრამებშიც შენარჩუნდა. 2016 წლის პროგრამაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საპოლიციო ტაქტიკაზე ორიენტირება უფრო გამოიკვეთა. ამ პროგრამით დაგეგმა მმართველმა პარტიამ ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დანერგვა შინაგან საქმეთა სამინისტროში.⁶⁰ პროგრამის ანალიზმა ცხადყო, რომ მმართველი პარტია მართალია, პრევენციის ახალ სტრატეგიებს სთავაზობდა საზოგადოებას, მისი რეალური პარტიული გაგება მაინც დანაშაულთან ბრძოლის კლასიკურ იდეას ეფუძნებოდა. ამ შემთხვევაშიც პროგრამას კონკრეტული აქცენტები სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტებით დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით არ გაუკეთებია. გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფომ პოლიტიკის ჰუმანიზებისა და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის პირობა დადო.

დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით მკაფიო განცხადება ჰქონდა მმართველ პარტიას 2020 წლის საარჩევნო პროგრამაშიც, როდესაც, დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ეფექტიანი საქმიანობის პირობა დადო.⁶¹ ამ ჩანაწერით კიდევ უფრო ცხადად გამოჩნდა, რომ მმართველი პარტია დანაშაულის პრევენციას მხოლოდ სამართალდამცავი უწყებების ფუნქციად აღიქვამს. ერთადერთი აქცენტი პრევენციასთან დაკავშირებით პროგრამამ ისევ მხოლოდ ვიწროდ, საპოლიციო სისტემის ფარგლებში გააკეთა, თუმცა 2020

59 საარჩევნო ბლოკი – ‘ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება’ საარჩევნო პროგრამა, 2012, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3C7jXwR> ბოლოს ნანახია: 05.10.2022.

60 ‘ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო’ საარჩევნო პროგრამა, 2016, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3e7mdfD> ბოლოს ნანახია: 05.10.2022.

61 ‘ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო’ საარჩევნო პროგრამა, 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3e8eHBe> ბოლოს ნანახია: 03.10.2022.

წლის საარჩევნო პროგრამაში ხაზგასმულია დანაშაულის პრევენციაზე მიმართული მიდგომების დანერგვა-გაძლიერება, როგორცაა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა და მართლწესრიგის ოფიცრების ინსტიტუტის გაფართოება. დანაშაულის პრევენციის კუთხით ამ მიმართულებების გაძლიერება არაერთხელ აისახა სამინისტროს პოლიტიკის დოკუმენტებში. ამ სახის პრევენციული სტრატეგიების განვითარების შესახებ მითითებებს მოიცავს, ასევე, საქართველოს მთავრობის 2021-2024 წლის სამთავრობო პროგრამა.⁶² ამავდროულად, მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა 2021-2025 წლების ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის სტრატეგია.⁶³

62 სამთავრობო პროგრამა 2021-2022 'ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის' 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3SUsjPI> ბოლოს ნანახია: 05.10.2022.

63 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 11 ივლისის N1/258 ბრძანება 'ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების სტრატეგიის (2021-2025) დამტკიცების შესახებ'.

ნაწილი III
პრევენცია პოლიციისა
და პენიტენციური სისტემის ფარგლებში
(კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი)

თავი I — საპოლიციო საქმიანობის ახალი მოდელები ქართულ სივრცეში და მათი გავლენა დანაშაულის პრევენციაზე

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა

საქართველოში ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარება დანაშაულის პრევენციისა და მასზე რეაგირების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.⁶⁴ მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგია აღიარებს, რომ საპოლიციო საქმიანობის ტრადიციული მოდელები, რომლებიც რეაქტიული ღონისძიებით მოქმედებს, ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს, პროაქტიული მეთოდების გამოყენების სიმწირე კი, ხელს უშლის დანაშაულის ეფექტიან პრევენციას. დასახული მიზნის მისაღწევად, სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგია აუცილებლობად მიიჩნევს სამინისტროს ანალიტიკური საქმიანობის ოპტიმიზაციას, ადამიანური რესურსებისა და პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებას, შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნას. სამართლებრივ ჩარჩოსთან დაკავშირებით საინტერესო მიგნებაა ის, რომ სტრატეგია აღიარებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და პოლიციის შესახებ არსებული კანონმდებლობის პრობლემურობას და ხაზს უსვამს მათ არაეფექტიანობას, დანაშაულის პრევენციის კუთხით.⁶⁵

სტრატეგიის მიხედვით, მოდელი წარმატებით დამკვიდრებულად მიიჩნევა, თუ ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის შედეგად შემცირდება დანაშაულის დონე, გაძლიერდება პრევენციული მიდგომა, მართვისა და კოორდინაციის ხარისხი ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე. ამავდროულად, შინაგან საქმეთა სამინისტრო სტრატეგიის წარმატებული იმპლემენტაციის ერთ-ერთი მთავარ ინდიკატორად გამოიძიებისა და ოპერატიული საქმიანობის ხარისხის ამაღლებას მიიჩნევს.⁶⁶

სტრატეგიის დონეზე რთულია, საფუძვლიანად ვიმსჯელოთ ამ მოდელის ქართული ვერსიის თავისებურებებზე, მის სტრუქტურულ მოწყობასა და ფუნქციურ როლზე. ამ საკითხების შეფასება ILP-ის განვითარებაზე დაკვირვებას და შემდგომ პერიოდში მისი საკანონმდებლო რეგულირების ანალიზს მოითხოვს, თუმცა საწყის ეტაპზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საპოლიციო საქმიანობის თანამედროვე მოდელების დანერგვა, თავის მხრივ, აუცილებელი პირობაა კლასიკური საპოლიციო საქმიანობის შეცვლისა და დემოკრატიული მოდელების დამკვიდრებისთვის. ამავდროულად,

64 იქვე, გვ: 2.

65 იქვე, გვ: 31.

66 იქვე, გვ: 4.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის დამკვიდრება საქართველოში ევროინტეგრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ინსტრუმენტად არის აღიარებული. ამ მხრივ, შესაბამისი თვალთახედვის შემუშავება და ახალი მოდელების გაძლიერებაზე პოლიტიკის დოკუმენტებში აქცენტების ხაზგასმა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხია. თუმცა გადაწყვეტია, რა ჩარჩოში აქცევს მათ სახელმწიფო და რამდენად დემოკრატიული საპოლიციო სისტემა ამ მოდელების სათანადოდ მუშაობისთვის. მყიფე ინსტიტუციური დემოკრატიის ფარგლებში, სადაც განსაკუთრებულად კრიტიკულია პოლიციის ანგარიშვალდებულების, ნდობისა და ლეგიტიმაციის საკითხები, სადავოა საპოლიციო საქმიანობის თანამედროვე მოდელების ეფექტიანი მუშაობა. ამ შემთხვევაში ახალი მოდელების დამკვიდრებას ვერ ექნება კონვენციური პრაქტიკის ცვლილების უნარი და მხოლოდ გააძლიერებს საპოლიციო საქმიანობის არადემოკრატიულ პრაქტიკებს.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის იდეა დიდ ბრიტანეთში განვითარდა და მიზნად ისახავს ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის საფუძველზე აქტიურ და რეციდივისკენ მიდრეკილ დამნაშავეებზე ორიენტირებას, მათი მხრიდან დანაშაულის განმეორების პრევენციას. სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით, პოლიცია განსაზღვრავს საპოლიციო საქმიანობის ტაქტიკას ცალკეულ სამიზნე ჯგუფთან მიმართებით. ამ სახის საპოლიციო საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლასა და თანამშრომლობაზე, ადგილობრივ თუ რეგიონულ დონეზე დანაშაულთან დაკავშირებული საკითხების უწყებათაშორის გადანაცვლებაზე.⁶⁷

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სისტემაში ხშირად ავლებენ პარალელს ანალიზზე დაფუძნებულ პრობლემაზე და საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო საქმიანობას შორის, ლიტერატურა კრიტიკულად აფასებს ამ მიდგომას.⁶⁸ აკადემიურ ნაშრომებში აღნიშნავენ, რომ ამ მოდელების ერთ რაკურსში განხილვა შეუთავსებელია მათ ბუნებასთან,⁶⁹ რამდენადაც საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო სტრატეგია ადგილობრივ დონეზე არსებულ საჭიროებებს ეფუძნება, მაშინ როდესაც ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა უფრო მეტად იერარქიული ხასიათისაა და დანაშაულებრივი გარემოს ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს სამოქმედო სტრატეგიას. შესაბამისად, მისი არეალიდან შესაძლოა გამოირიცხოს ადგილობრივი საჭიროებები და საზოგადოების მოთხოვნები. აქედან გამომდინა-

67 Ratcliffe, J.H. (2009) Intelligence-led policing. In Wakefield, A. and Fleming, J. *The SAGE Dictionary of Policing*. London: SAGE Publications Inc

68 Tilley, N. (2003) Community policing, problem-oriented policing and intelligence-led policing. In T. Newburn (ed.), *Handbook of Policing*. Cullompton, Devon: Willan Publishing

69 Ratcliffe, J.H., (2009) Intelligence-led policing. In Wakefield, A. and Fleming, J. *The SAGE Dictionary of Policing*. London: SAGE Publications Inc

რე, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პრევენციული მანდატი მაინც ვინროდ, სიტუაციური პრევენციის ჩარჩოში მოქმედებს და მიზნად არ ისახავს, რეაგირება მოახდინოს დანაშაულის განმეორებებელ სოციალურ ფაქტორებზე.

ამასთან, ამ სახის საპოლიციო საქმიანობის მოდელი ადამიანის უფლებებში ჩარევის მაღალი რისკით გამოირჩევა. მისი ძირითადი ინსტრუმენტი კონფიდენციალური ინფორმანტები და მოსმენა-მიყურადებაა. ყველაზე დიდი კრიტიკა ლიტერატურაში ამ სახის საპოლიციო საქმიანობის მიმართ სწორედ ამგვარ ტაქტიკას უკავშირდება. მართალია, საპოლიციო სისტემაში ასეთი ტაქტიკა ტრადიციულად დამკვიდრებულია, ის ეჭვქვეშ აყენებს საპოლიციო საქმიანობის ეთიკურობას და საფრთხეს უქმნის მის ლეგიტიმაციას.⁷⁰ ამავდროულად, ისიც აღიარებულია, რომ კონკრეტულ შემთხვევებში ამ სახის მოდელის გამოყენება შეიძლება იყოს გარდაუვალი აუცილებლობით განპირობებული. ამ შემთხვევაში კი თანმხვედრი ინსტიტუციური დემოკრატია არის სწორედ ის მექანიზმი, რომელმაც ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ტაქტიკიდან წარმოქმნილი საფრთხე უნდა დააბალანსოს.

საქართველოს შემთხვევაში მხოლოდ მყიფე ინსტიტუციური ვითარება არ არის ის, რასაც შესაძლოა, ამ მოდელის კრიტიკა დაეფუძნოს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მისი კონტექსტური გააზრება მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოსა და ქვეყანაში დამკვიდრებულ საპოლიციო საქმიანობის კულტურასთან, დანაშაულის პრევენციის ტრადიციულ აღქმასთან. იმ ფონზე, როდესაც დანაშაულის პრევენცია ქვეყანაში ძირითადად საპოლიციო საქმიანობის სფეროდ აღიქმება და სიტუაციური პრევენციის მოდელზე დაფუძნებით, მძიმე ინსტრუმენტების გამოყენებით ხორციელდება,⁷¹ ამ მოდელის შემოღება კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს არსებულ მიდგომას და გააფართოებს პოლიციის ხელში კონტროლის მექანიზმებს. ამავდროულად, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ღონისძიებები, გარკვეულწილად, ჰკავს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, რომელთაც პოლიცია თითქმის ყოველდღიურად მიმართავს და საპოლიციო საქმიანობის ყველა მიზნისთვის იყენებს (იქნება ეს საგამოძიებო თუ პრევენციული).⁷² იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფოს ამ დრომდე არ გამოუვლენია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის გადახედვისა და დემოკრატიული მექანიზმებით მისი ჩანაცვლების მკაფიო პოლიტიკური ნება,⁷³

70 Ratcliffe, J.H. (2009) Intelligence-led policing. In Wakefield, A. and Fleming, J. *The SAGE Dictionary of Policing*. London: SAGE Publications Inc

71 დანაშაულის პრევენცია – საპოლიციო კონტროლის რისკები, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yqKHra> ბოლოს ნანახია: 04.10.2022.

72 ოპერატიული საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3C3q7hH> ბოლოს ნანახია: 04.10.2022.

73 საიმედოდ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ოპერატიული საქმიანობის გადახედვასთან დაკავშირებით ჩანაწერი გვხვდება ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების სტრატეგიის (2021-2025) დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 11 ივლისის N1/258 ბრძანებაში.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა შესაძლოა გახდეს თანამედროვე დემოკრატიული საპოლიციო საქმიანობის ეგიდით მოქმედი, კონტროლის დამატებითი ინსტრუმენტი პოლიციის სისტემაში, მეორე მხრივ კი, შესაძლოა, სახელმწიფომ ამ მოდელეებზე ორიენტირება სათანადოდ გამოიყენოს – შექმნას ინსტიტუციური საფუძველი თანამედროვე საპოლიციო ტექნიკის გამოყენებისთვის და დაიწყოს ოპერატიული საქმიანობის დემოკრატიული მოდელეებით ჩანაცვლებაზე მუშაობა. ამ თვალსაზრისით, საიმედოდ მიიჩნევა ის, რომ სტრატეგიაში აღნიშნულია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისა და პოლიციის შესახებ არსებული კანონმდებლობის გადახედვა და ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების აუცილებლობა. ეს ჩანაწერი მნიშვნელოვანი განაცხადია საპოლიციო საქმიანობის არსებული პრაქტიკის გარდაქმნისთვის, ამიტომ აუცილებელია მასზე დაკვირვება და იმ ნაბიჯების კრიტიკული ანალიზი, რომელთაც სახელმწიფო ამ მიმართულებით გადადგამს.

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა

კრიტიკის იმავე ლოგიკას შეიძლება დაეფუძნოს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის შემოთავაზებული მოდელი. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ქართული მოდელი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი, მიზნად ისახავს პოლიციის პრევენციული ფუნქციების გაძლიერებას.⁷⁴ მართლწესრიგის ოფიცრის კომპეტენცია მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: არასრულწლოვანებთან, ოჯახში ძალადობასთან, სამეზობლო დავებთან, უკანონო მიგრაციასთან, მონყვლად ჯგუფებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და გამონწვევებზე რეაგირება. მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქცია-მოვალეობებში შედის, ასევე: დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება; ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია და პირველადი დამუშავება; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა წარმოება; შესწრებულ დანაშაულზე რეაგირება.⁷⁵

მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის საპოლიციო საქმიანობის მოდელი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით – სახელმწიფო მოწყობით, ორგანიზაციული ფორმით, ხელმძღვანელობის მეთოდითა და სხვა მახასიათებლებით, თითქმის ყველა მოქმედ სისტემაში ის საერთო იდეას და პრინციპებს ეფუძნება. შეიძლება ითქვას, რომ საპოლიციო საქმიანობის მოდელეებს შორის ეს მოდელი ყველაზე მეტად არის მიმართუ-

74 შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 23 თებერვლის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fiHYdb> ბოლოს ნანახია: 01.11.2022.

75 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების, დეტექტივ-გამომძიებლების, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლების, დეტექტივების, უბნის ინსპექტორების, მართლწესრიგის ოფიცრებისა და ანალიტიკოსების საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 13 დეკემბრის N102 ბრძანება.

ლი დანაშაულის პრევენციაზე. ამავდროულად, მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია საპოლიციო სისტემის უნარზე, თავისი საქმიანობა დააფუძნოს საზოგადოებრივ საჭიროებებს და აქტიურად ითანამშრომლოს ადგილობრივი ჯგუფის წევრებთან, სახელმწიფო თუ სხვა ორგანოებთან.⁷⁶

სხვადასხვა სისტემაში საპოლიციო საქმიანობის ამ მოდელის წარმატება სწორედ საზოგადოებასთან ახლო თანამშრომლობამ, მათ საჭიროებებსა და ადგილობრივ დონეზე დანაშაულის განმაპირობებელ სოციალურ ფაქტორებზე ორიენტირებამ განაპირობა. ამ გამოცდილების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საპოლიციო საქმიანობის სხვა მოდელისგან განსხვავებით, ამ მოდელის ძირითადი მახასიათებელი მოქალაქეთა ჩართულობა, სოციალურ პრობლემებზე ორიენტირება და ორგანიზაციული დეცენტრალიზაციაა.⁷⁷ შესაბამისად, საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო საქმიანობას აქვს უნარი, იმოქმედოს დანაშაულის სოციალური პრევენციის ჩარჩოში და პოზიტიური გავლენა ჰქონდეს პრევენციის საწყის დონეებზე, თუმცა საამისოდ აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა.

ერთი შეხედვით, საქართველოს კანონმდებლობა განსაკუთრებულად უსვამს ხაზს პრევენციულ უფლებამოსილებებს მართლწესრიგის ოფიცერთა საქმიანობის განსაზღვრისას, სხვა სტრუქტურულ დანაყოფებთან შედარებით. ეს ტენდენცია, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია და გამოკვეთს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ძირითად იდეას. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კანონმდებლობა უშვებს ამ დანაყოფის შესაძლო თანამშრომლობას, სხვა უწყებებთან ერთობლივი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. ამ უფლებამოსილების განხორციელება და მის ეფექტიანობაზე მსჯელობა ცალკეულ ღონისძიებაზე დაკვირვებას და მის შეფასებას მოითხოვს. დოკუმენტზე მუშაობის პროცესში კვლევის გუნდს არ მიეცა შესაძლებლობა, ამ მიმართულებით შეფასებინა მართლწესრიგის ოფიცრების უფლებამოსილება, რამდენადაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ორგანიზაციას არ მიაწოდა ინფორმაცია ოფიცერთა მიერ პრევენციული მიზნით დაგეგმილი და გატარებული ღონისძიებების, გამოყენებული მეთოდებისა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის შესახებ.

ამ ეტაპზე საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მარეგულირებელი ჩარჩო არ ქმნის საპოლიციო საქმიანობის ამ მოდელის სათანადო მუშაობის გარანტიას ქვეყანაში. განსაკუთრებით კრიტიკულია ახალი მოდელის განვიტარება საპოლიციო საქმიანობის ძველი, პრობლემური მოდელის პარალელურ-

76 Nigel, F. *Community Policing* (1995) Oxford: Clarendon

77 Skogan, W. (2009) Intelligence-led policing. In Wakefield, A. and Fleming, J. (eds) *The SAGE Dictionary of Policing*. London: SAGE Publications Inc.

რად, არსებულ ინსტიტუციურ და სტრუქტურულ ბაზაზე, სადაც დღემდე დგას საპოლიციო დანაყოფებს შორის ჭარბი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის აღრევის საკითხი.⁷⁸ კერძოდ, ძირითადად ყველა ტერიტორიულ ორგანოში სტრუქტურულ ერთეულებს შორის უფლებამოსილებები ერთგვაროვნად არის გადანაწილებული. პრევენციული, ოპერატიული და საგამომძიებო უფლებამოსილებით ერთდროულად სარგებლობს როგორც დეტექტივების, ისე უბნის ინსპექტორების სამმართველო. უფრო მეტიც, კანონმდებლობა ადგენს სხვადასხვა დანაყოფისთვის საერთო ფუნქციებს. მაგალითად, გამომძიებლების, დეტექტივ-გამომძიებლების, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლების, დეტექტივების, უბნის ინსპექტორებისა და მართლწესრიგის ოფიცრების საერთო ფუნქციას განეკუთვნება საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის ღონისძიებაში მონაწილეობა, შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ინფორმაციის შეკრება, დამუშავება და სადღეღამისო კრებსებში განსათავსებლად გადაცემა.⁷⁹

კანონმდებლობით, საერთო ფუნქციებია განსაზღვრული უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლის, უბნის ინსპექტორ-გამომძიებლისა და მართლწესრიგის ოფიცრისთვის სხვადასხვა მიმართულებით, მაგალითად, საოჯახო/სამეზობლო სფეროში, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევებზე რეაგირების მიზნით და ა.შ.⁸⁰ უფლებამოსილების ამგვარი გადანაწილებით ირღვევა მიჭნა მართლწესრიგის ოფიცერთა და პოლიციის სხვა დანაყოფების კომპეტენციებს შორის. ამგვარი რეგულაციების ფარგლებში კი, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი ვერ ასრულებს საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ფუნქციას.

ამ დანაყოფის პრევენციულ ფუნქციებზე მსჯელობისას ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს ის ფაქტი, რომ არსებულ სისტემაში, ზოგადად, კრიტიკულია ის ღონისძიებები, რომლებსაც პოლიცია დანაშაულის პრევენციის მიზნით მიმართავს. ცალკეული მათგანი უფრო მეტად სიტუაციური პრევენციის იდეას არის მორგებული და უფლებებში არათანაზომიერი ჩარევის რისკს ქმნის.⁸¹ ამგვარი მექანიზმების გამოყენება, განსაკუთრებით კი მყიფე ინსტიტუციური დემოკრატიისა და სუსტი ანგა-

78 დეტალური შეფასებისთვის იხილეთ: დანაშაულის პრევენცია საპოლიციო კონტროლის რისკები, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NnK1sN> ბოლოს ნანახია: 01.11.2022; ოპერატიული-სამძებრო საქმიანობა სამართალდამცავ ორგანოებში, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gP34A4> ბოლოს ნანახია: 01.11.2022.

79 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლების, დეტექტივ-გამომძიებლების, დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებლების, დეტექტივების, უბნის ინსპექტორების, მართლწესრიგის ოფიცრებისა და ანალიტიკოსების საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 13 დეკემბრის N102 ბრძანება, მუხლი 10.

80 იქვე: მუხლი 12.

81 დანაშაულის პრევენცია – საპოლიციო კონტროლის რისკები, ადამიანის უფლებების სწავლების და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2017 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3DVpFo2> ბოლოს ნანახია: 27.09.2022

რიშვალდებულების ფარგლებში, საფრთხეს უქმნის საზოგადოებაში პოლიციის მიმართ ნდობის შენარჩუნებას და მისი საქმიანობის ლეგიტიმაციას. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა კი თავისი ბუნებით აბსოლუტურად დამოკიდებულია საზოგადოებრივი ნდობის ხარისხზე, ვინაიდან მისი მამოძრავებელი ძალა საზოგადოებრივ ჯგუფებთან მჭიდრო თანამშრომლობაა. სწორედ საზოგადოებასთან ახლო კონტაქტის, პოლიციის საქმიანობაში საზოგადოებრივი ჩართულობის იდეაზე აღმოცენდა და განვითარდა თავის დროზე საპოლიციო საქმიანობის ეს მოდელი, როგორც ტრადიციული ავტორიტარული საპოლიციო საქმიანობის დემოკრატიული ალტერნატივა.⁸²

განვითარებულ დემოკრატიებში მოქმედი მოდელისგან განსხვავებით (მაგალითისთვის, დიდი ბრიტანეთის მოდელი), საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ქართული ვერსია ერთმნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს ამ საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის მასშტაბს. საპირისპიროდ, ბრიტანული მოდელი პირდაპირ ადგენს, რა სახით და მასშტაბით იღებს საზოგადოება ამ სახის საპოლიციო საქმიანობაში მონაწილეობას, დანაშაულის პრევენციის მიზნით. მაგალითად, პოლიცია საზოგადოების წევრებთან ერთად იძიებს და განსაზღვრავს ადგილობრივ პრობლემებს, საკითხებს, რომლებზეც რეაგირება უნდა მოახდინოს; ადგენს საპოლიციო საქმიანობისა და სერვისის სახეს ცალკეული პრობლემის მიმართ; პოლიციასთან ერთად მონაწილეობს საპასუხო ღონისძიებაში, პრობლემის გადაჭრის მიზნით. შესაბამისად, ამ სახის საპოლიციო საქმიანობის ტაქტიკა და კონკრეტული ღონისძიება შესაძლოა განსხვავებული იყოს, ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით. ამავდროულად, ერთმნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის პრევენციული უფლებამოსილების წარმატება დიდწილად არის დამოკიდებული საპოლიციო სისტემის სტრუქტურულ წყობაზე. ეს მოდელი მოითხოვს დეცენტრალიზებულ სისტემას, სადაც საპოლიციო საქმიანობა დისკრეციულობის პრინციპს ეფუძნება და მისი განხორციელების ტაქტიკა განსხვავდება საჭიროების მიხედვით.⁸³

საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო საქმიანობას ლიტერატურა დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთ ქმედით, დემოკრატიულ მექანიზმად მიიჩნევს.⁸⁴ ამავდროულად, როგორც წინა თავებში განვითარებულმა მსჯელობაც გამოავლინა, ამ სახის საპოლიციო მოდელები ხშირად ასოცირდება სოციალური პრევენციის მექანიზმებთან. ამდენად, ამ სახის საპოლიციო საქმიანობის იდეაზე მუშაობა სახელმწიფოს მხრიდან, ერთი შეხედვით, დადებითად უნდა მიიჩნეოდეს, თუმცა ყურადსა-

82 Tilley, N. (2004) Community Policing, problem-oriented policing and intelligence-led policing. In Newburn, T. (ed.) *Handbook of Policing*, Willan Publishing, Portland, Oregon

83 იქვე, 83:317

84 Bayley, D.H. (2006) *Changing the guard: developing democratic police abroad*. New York: Oxford University Press

დებია ის ფაქტი, რომ ლიტერატურა კრიტიკულად აფასებს ამ მოდელის ეფექტიანობას ტრანზიციული დემოკრატიის პირობებში ან/და იმ სისტემებში, რომლებსაც ავტორიტარული საპოლიციო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ,⁸⁵ ვინაიდან არადემოკრატიულ საპოლიციო კულტურაზე დაშენებული, საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა ხშირად ვერ ინარჩუნებს ბალანსს საზოგადოების წევრებთან თანამშრომლობასა და სოციალურ კონტროლს შორის. რამდენადაც პოლიციამ საზოგადოებასთან თანამშრომლობის/კონსულტაციის იდეა ხალხის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების ნაცვლად, შესაძლოა, ოპერატიული მიზნებით ინფორმაციის შეგროვების, დაკვირვებისა და კონტროლისთვის გამოიყენოს, ამავდროულად, ამ მოდელის საპოლიციო საქმიანობა უფლებამოსილების სათანადო ჩარჩოსთან ერთად, შესაბამის ინსტიტუციურ ბაზას, ანგარიშვალდებულების მყარ გარანტიებს მოითხოვს ჯეროვანი ფუნქციონირებისთვის. ქვეყანაში არსებული საპოლიციო სისტემის მკაცრი ცენტრალიზაციისა და იერარქიის პირობებში, რთულია, მართლწესრიგის ოფიცრების ინსტიტუტმა შეძლოს რეალურად საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო ფუნქციის შესრულება და დანაშაულის პრევენციის დემოკრატიული მოდელის შემოღება სისტემაში.

85 Bayley, D.H. (2006) *Changing the guard: developing democratic police abroad*, New York: Oxford University Press

თავი II — დანაშაულის პრევენცია პენიტენციურ სისტემაში

მნიშვნელოვანი პრევენციული ფუნქციები აქვს დაკისრებული იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. სააგენტოს მიზანია, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოება, მათ შორის დანაშაულის პრევენციის ღონისძიებების გატარებით.⁸⁶

თავისი მანდატის გათვალისწინებით, ცხადია, სააგენტოს პრევენციული უფლებამოსილება ვერ იქნება იმდენად მასშტაბური, რომ პრევენციის ყველა დონეს გასწვდეს, თუმცა შესაძლოა, ჰქონდეს სათანადო ეფექტი, სპეციფიკურ ჯგუფში დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით. კონკრეტულად კი, სააგენტოს პრევენციულმა საქმიანობამ შესაძლოა, ხელი შეუწყოს დანაშაულის პრევენციას პენიტენციურ სისტემასთან შეხებაში მყოფ პირთა შორის. არსებული კანონმდებლობა სააგენტოს აძლევს უფლებამოსილებას, დანაშაულის პრევენციის მიზნით დანერგოს ინსტიტუციური და კომპლექსური მიდგომა, დააფინანსოს კულტურული, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა ღონისძიებები.⁸⁷ სააგენტო პრევენციულ ღონისძიებებს წარმართავს სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით, რომელთა საქმიანობაც ორიენტირებულია რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ღონისძიებების საშუალებით განმეორებითი დანაშაულის თავიდან არიდებაზე. სააგენტოს ბაზაზე შექმნილია ფსიქოსოციალური, პროსოციალური, ნივთიერებაზე, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებისა და ძალადობის საკითხებზე მიმართული სარეაბილიტაციო პროგრამები.⁸⁸

პენიტენციურ სისტემაში დანაშაულის პრევენციის ქმედითი და ეფექტიანი სისტემის არსებობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა სასჯელის მოხდის შემდგომ პირის სოციალური ინტეგრაციისთვის და რეციდივის თავიდან ასაცილებლად. ამიტომ მნიშვნელოვანია, სისტემამ შეძლოს დანაშაულის პრევენციის კუთხით კანონით მინიჭებული უფლებამოსილების სათანადო აღსრულება. როგორც სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, უწყება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკითხს.⁸⁹ მართალია, ამ დოკუმენტის სამიზნე არ არის არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის

86 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N485 ბრძანება.

87 დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.

88 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 29 სექტემბრის N2/91894 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

89 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 29 სექტემბრის N2/91894 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

საკითხების შესწავლა და ამ მიმართულებით ქვეყანაში არსებული პოლიტიკის ანალიზი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არასრულწლოვანთა საკითხებზე ორიენტაცია ლოგიკური და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა ქვეყანაში არსებული ზოგადი კრიმინოგენური ფონის გათვალისწინებით. თუმცა, მეორე მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს პოლიტიკამ თანაბრად მოიცვას როგორც არასრულწლოვანთა, ასევე სრულწლოვანთა საკითხები დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის განსაზღვრისას.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ სააგენტო პრევენციული მიზნებისთვის თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებებია საგანმანათლებლო, სამედიცინო, მოხალისეობრივი და დასაქმების ხელშეწყობა, თუმცა უცნობია ზუსტი ინფორმაცია თანამშრომლობის ფარგლებში გატარებული ღონისძიებებისა და მათში მონაწილე პირთა რაოდენობის შესახებ.⁹⁰ სააგენტოს ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის ხორციელდება პროექტი 'მოხალისე პედაგოგი' რაც სხვადასხვა საგნის შესწავლას ისახავს მიზნად. ამავ ინფორმაციით, 2021 წლიდან 2022 წლის სექტემბრის მონაცემებით, ამ პროექტის ფარგლებში მხოლოდ 18 ბენეფიციარმა დაასრულა სხვადასხვა საგნის შემსწავლელი მოკლევადიანი კურსი. სააგენტოს ფარგლებში სხვა მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები (შემეცნებითი და მოხალისეობრივი აქტივობები) ძირითადად მიმართულია არასრულწლოვანებზე. სააგენტოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში არ გვხვდება მითითებები იმ დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომლებიც სრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ ხორციელდება. საგანმანათლებლო პროექტებს და მათზე ხელმისაწვდომობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პენიტენციურ სისტემაში დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით. სათანადო საგანმანათლებლო შესაძლებლობების მინიჭება პენიტენციური სისტემასთან შეხებაში მყოფი პირებისთვის ერთ-ერთ უმთავრეს წინაპირობად მიიჩნევა სასჯელის მოხდის შემდგომ საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის. საგანმანათლებლო პროგრამები ზრდის დასაქმების შესაძლებლობას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და, შესაბამისად, რეციდივის თავიდან არიდების პოტენციალს. ამიტომაც მნიშვნელოვანია, პენიტენციურ სისტემაში საგანმანათლებლო პროგრამებს არ ჰქონდეს ფრაგმენტული ხასიათი.⁹¹

იმისათვის, რომ პენიტენციურ სისტემაში დანაშაულის პრევენციის პროგრამები იყოს ქმედითი, პირველ რიგში აუცილებელია, პრევენციულ პროგრამებს და სტრატეგიებს საყოველთაო ბუნება ჰქონდეს და მაქსიმალურად მოიცვას სისტემასთან შეხებაში მყოფი ყველა ადამიანი. ამ მიზნისთვის ცხადია, მხოლოდ ინდივიდუალური

90 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 29 სექტემბრის N2/91894 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

91 Tønseth, C. and Bergsland, R. Prison Education in Norway – The importance for work and life after release, *Cogent Education*, 2019, 6 (1).

პროგრამების შეთავაზება საკმარისი ვერ იქნება. მართალია, ინდივიდუალურ ღონისძიებებს, პროგრამებს, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდეს კონკრეტულ ჯგუფში ან ცალკეულ პირთა მიმართ, თუმცა სადავოა, მხოლოდ ამგვარმა პროგრამებმა არსებული სოციალური კონტექსტის ცვლილების გარეშე გააუმჯობესოს ის ზოგადი ფონი ქვეყანაში, რომელიც ქმნის დანაშაულის ჩადენის წინაპირობას და ამით ხელი შეუწყოს დანაშაულის პრევენციას.

პენიტენციური სისტემა, თავისი ბუნებით, უფრო მეტად დანაშაულის მესამე დონის პრევენციაზეა ორიენტირებული. ამიტომ, მის ფარგლებში რთულია, თანაბრად დაიფაროს პრევენციის ყველა დონე და პენიტენციურმა სისტემამ დამოუკიდებლად შეძლოს დანაშაულის მიზეზებზე ეფექტიანი რეაგირება. ეს პროცესი მოითხოვს უწყებათაშორის აქტიურ თანამშრომლობას, რომ პრევენციული პოლიტიკა თანაბრად ეფექტიანი იყოს სისტემის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შემუშავება, არსებული სოციალური ფონის გათვალისწინებით, პირველ ყოვლისა, მოითხოვს კრიმინოგენურ კვლევებს. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია სააგენტოს ფუნქცია, მხარი დაუჭიროს შესაბამის კვლევებს ქვეყანაში,⁹² თუმცა ამ შემთხვევაშიც აუცილებელია მსგავსი კვლევების სისტემატური ხასიათი, რათა პრევენციული სტრატეგიებისა და ღონისძიებების დაგეგმვა მუდმივად იყოს არსებული კონტექსტის შესაბამისი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევის ჯგუფმა სააგენტოდან მოითხოვა ინფორმაცია 2013 წლიდან განცხადების განხილვის დრომდე წარმოებული კრიმინოლოგიური კვლევების შესახებ. უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ ჩატარდა კრიმინოლოგიური კვლევა: 2015 წელს პილოტური კვლევა თბილისში არასრულწლოვანთა კანონსაწინააღმდეგო ქცევის ხელშემწყობი გარემოებების გამოვლენის მიზნით, ხოლო მოგვიანებით, 2018 წელს – უწყებათაშორისი თანამშრომლობის საფუძველზე (პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, დანაშაულის პრევენციის ცენტრი) ყოფილ მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორების კვლევა. ორგანიზაციამ სააგენტოს სთხოვა კვლევის შედეგებისა და მათ საფუძველზე გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაზიარება, თუმცა, როგორც ოფიციალური კორესპონდენციით ირკვევა, სააგენტოს დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხებთან დაკავშირებით არ გააჩნია, რამდენადაც აღნიშნული კვლევები სისტემის რეორგანიზაციამდე განხორციელდა.⁹³ ამ ფაქტის გათვალისწინებით, შეიძლება, ვიგულისხმოთ, რომ ხშირი სტრუქტურული რეორგანიზაცია დამატებითი პრობლემაა სამართალდამცავი სისტემისთვის, რაც ხელს უშლის მდგრადი პრევენციული პოლიტიკის შექმნას და ჯეროვან აღსრულებას.

92 დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7².

93 სსიპ – დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 29 სექტემბრის N2/91894 წერილით მოწოდებული ინფორმაცია.

ამასთანავე, დანაშაულის სოციალური პრევენციის ჩარჩოში მოქმედებისთვის მნიშვნელოვანია პენიტენციური სისტემის მჭიდრო თანამშრომლობა სხვა უწყებებსა და სამოქალაქო აქტორებთან. ამგვარ თანამშრომლობაზე დაფუძნებულ პოლიტიკას შეუძლია, იზრუნოს მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და ამავდროულად, ხელი შეუწყოს რეციდივის რისკის შემცირებას სასჯელის მოხდის შემდეგ. როგორც აღრეულმა კვლევებმა გამოავლინა, ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას პენიტენციურ სისტემასთან შეხებაში მყოფ პირთათვის გათავისუფლების შემდგომ დასაქმება და პირადი სოციალური ფონის გაუმჯობესება წარმოადგენს.⁹⁴ დასაქმებისთვის კი, სტიგმატიზაცია და კანონმდებლობით დაწესებულ შეზღუდვებთან ერთად,⁹⁵ მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნის შესაბამისი პროგრამების სიმწირე, რაც, ერთი მხრივ, ყველა მსურველს მისცემს შესაძლებლობას, ჯერ კიდევ სასჯელის მოხდის პერიოდში მიიღოს სათანადო ცოდნა და გამოიმუშაოს უნარები, გათავისუფლების შემდეგ კი, შეძლოს მიღებული ცოდნის გამოყენება. ამ კუთხით დადებითად მიიჩნევა მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრის ამოქმედება, 2020 წლის პირველი იანვრიდან. ცენტრის მიზანია მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობა მათთვის პროფესიული განათლების უზრუნველყოფის, ასევე, მათი პროფესიული მომზადებისა/გადამზადებისა და დასაქმებისათვის მომზადების გზით.⁹⁶ ცენტრი სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს სთავაზობს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროექტებს/ტრენინგებს/კურსებს. როგორც ირკვევა, 2020-2021 წლებში ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კურსებში ჩაერთო 508 მსჯავრდებული, დასაქმდა 51; ასევე, 66-მა მსჯავრდებულმა მიიღო მონაწილეობა გამოფენა-გაყიდვებში და 100 მსჯავრდებული მონაწილეობდა სხვადასხვა ონლაინშეხვედრასა და შემეცნებით ტურში. პენიტენციური სამსახური ასევე ყურადღებას ამახვილებს თავის მნიშვნელოვან როლზე მსჯავრდებულთა დასაქმების კუთხით.⁹⁷ ოფიციალური ინფორმაციით, 2020-2022 (2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით) წლებში სხვადასხვა მიმართულებით (სამეურნეო, სანარმო და სხვა) სულ 3103 მსჯავრდებული დასაქმდა.⁹⁸

დადებითად უნდა შეფასდეს პენიტენციური სამსახურის მზადყოფნა, ყურადღება გამახვილოს მსჯავრდებულთა გადამზადებისა და დასაქმების საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების ტენდენცია მცირედად კლებადია (2020 წელს – 1207

94 დანაშაულის და სასჯელის პოლიტიკა საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3RoLv6B> ბოლოს ნანახია: 29.09.2022.

95 იქვე, გვ:79.

96 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის N492 ბრძანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე.

97 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2022 წლის 28 ოქტომბრის N 14657 წერილი.

98 იქვე.

მსჯავრდებული; 2021 წელს – 985 მსჯავრდებული; 2022 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით – 911 მსჯავრდებული),⁹⁹ და უწყების მიერ მონოღებული ინფორმაციით რთულია, განისაზღვროს დასაქმების სახე, ხანგრძლივობა, დასაქმების პროგრამების მდგრადობა, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია ბოლო პერიოდის ტენდენციები მსჯავრდებულთა რაოდენობის შესახებ. როგორც კვლევები ადასტურებს, საქართველო მონივნავე ქვეყანაა ევროპაში პენიტენციურ სისტემასთან შეხებაში მყოფ პირთა რაოდენობით, მათ შორის მაღალია პრობაციონერთა რაოდენობა.¹⁰⁰ ამ მოცემულობაში საეჭვოა, საკმარისი ან ეფექტიანი იყოს ცალკეული სახის პერიოდული, პრევენციული ღონისძიებები, რომელშიც მხოლოდ გარკვეული რაოდენობის პირია ჩართულია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მსგავს პროგრამებში პირთა ინტენსიურ მონაწილეობას ხელს უშლის პენიტენციური სისტემისთვის დამახასიათებელი სუბკულტურა.¹⁰¹ პენიტენციური სუბკულტურის დაძლევა კი ინტენსიურ და კომპლექსურ მუშაობას მოითხოვს, რასაც, თავის მხრივ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდეს დანაშაულის პრევენციის კუთხით სისტემის მუშაობაზე.

ამავდროულად, საინტერესოა, რის საფუძველზე იგეგმება კონკრეტული პრევენციული ღონისძიებები პენიტენციურ სისტემაში. იმ მიზნით, რომ სისტემის ფარგლებში დანაშაულის პრევენცია ეფექტიანი იყოს, მნიშვნელოვანი იქნება, სახელმწიფომ ზოგადი სოციალური ფონის გაუმჯობესებასთან ერთად, ცალკეული დანაშაულის მიმართ როგორც პენიტენციურ სისტემაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ დანერგოს პრევენციის განსხვავებული მეთოდები/ღონისძიებები და ერთიანი სტანდარტით არ მიუდგეს ყველა სახის/კატეგორიის დანაშაულის პრევენციას. რამდენადაც, სხვადასხვა სახის/კატეგორიის დანაშაულს შესაძლოა, განსხვავებული მიდგომა, პრევენციის განსხვავებული პროგრამა ან ღონისძიება დასჭირდეს.

99 იქვე.

100 ზრუნვა თუ კონტროლი: საქართველოს პრობაციის სისტემის ეფექტიანობის შეფასება ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3QtmV4m> ბოლოს ნანახია: 29.09.2022.

101 სლენი, გ., ქელბაქიანი, ა., ცაგარელი, ნ. და კაჭკაჭიშვილი, ი. კრიმინალური სუბკულტურის გავლენა პენიტენციური დაწესებულების მართვაზე, 2020, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3SEnSbG> ბოლოს ნანახია: 05.10.2022.

დასკვნა

დოკუმენტზე მუშაობამ ცხადყო, რომ სახელმწიფოს თვალთახედვა დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. დანაშაულის პრევენცია ამ დრომდე არ არის სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული საკითხი და შესაბამისად, პოლიტიკის დოკუმენტებში სუსტია აქცენტები დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით.

დანაშაულის პრევენციის არსებული პოლიტიკა, პრევენციული მექანიზმები და ცალკეული ღონისძიებები, სათანადოდ ვერ პასუხობს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს. ბუნდოვანია მისი იდეოლოგიური ჩარჩოც. სახელმწიფო თითქმის არ იყენებს დანაშაულის სოციალური პრევენციის მეთოდებს. შესაბამისად, პრევენცია კვლავ ვიწროდ, სამართალდამცავი სისტემის ფარგლებშია მოქცეული და საპოლიციო მექანიზმებით ხორციელდება. საპოლიციო რეაგირება დანაშაულზე თითქმის ყოველთვის რეაქტიულია და პოლიცია მეტწილად სიტუაციური მეთოდებით პრევენციის მესამე დონეზე ერთვება. დანაშაულზე მხოლოდ ამგვარ საპოლიციო რეაქციას შეიძლება, ჰქონდეს მისი კონტროლისა და ინდივიდუალურ დონეზე დროებითი შეკავების უნარი, თუმცა საპოლიციო კონტროლით სახელმწიფო ვერ ახდენს სათანადო გავლენას დანაშაულის განმაპირობებელ სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე. შესაბამისად, არსებული პოლიტიკა ვერ იცავს ზღვარს დანაშაულის კონტროლსა და პრევენციას შორის და ვერ უზრუნველყოფს მდგრადი პრევენციული შედეგების მიღწევას.

სამართალდამცავი ორგანოების დომინანტური როლი დანაშაულის პრევენციაში მიანიშნებს, რომ სახელმწიფო არ მსჯელობს პრევენციის სოციალური მოდელების დამკვიდრებაზე, რასაც დადებითი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს კონკრეტული სახის დანაშაულის პრევენციაზე. პრევენციის კონვენციური გაგება გამოირიცხავს სოციალური პოლიტიკის როლს დანაშაულის პრევენციის საკითხში და ტოვებს მას მხოლოდ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფარგლებში, რაც სათანადოდ ვერ პასუხობს სოციალური სახელმწიფოს კონსტიტუციურ იდეას.

მეორე ინსტიტუციური დემოკრატიის, არსებული საპოლიციო კულტურის, დაბალი ანგარიშვალდებულების, სტრუქტურული მოწყობისა და განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, სადავოა პრევენციაზე ორიენტირებული საპოლიციო მოდელების (საზოგადოებაზე ორიენტირებული და ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა) წარმატება საქართველოში. მოქმედი მექანიზმების რეფორმირების გარეშე, ახალი მოდელების დამკვიდრება მხოლოდ გააძლიერებს არსებულ საპოლიციო წესრიგს და კონტროლის მექანიზმებს სისტემაში. ამიტომაც, პრევენციაზე ორიენტირებული საპოლიციო მოდელების დამკვიდრებამდე მნიშვნელოვანია

მყარი დემოკრატიული საფუძვლების შექმნა, პოლიციის სისტემისა და საპოლიციო საქმიანობის მიმართ ნდობისა და ლეგიტიმაციის ამაღლება.

მწირია პენიტენციურ სისტემაში მოქმედი პრევენციული პროგრამებიც. არსებული პრევენციული ღონისძიებები და მექანიზმები სათანადოდ ვერ სწვდება სისტემასთან შეხებაში მყოფ ყველა პირს. სისტემაში მოქმედი პრევენციული პროგრამები შესაძლოა, არ იყოს საკმარისი საიმისოდ, რომ ხელი შეუწყოს სასჯელის მოხდის შემდეგ პირთა სოციალურ კეთილდღეობას, შექმნას მათთვის დასაქმებისა და რეციდივის აცილების შესაძლებლობა. პენიტენციურ სისტემაში სოციალურად მგრძობიარე პრევენციული პროგრამების დამკვიდრებისა და სათანადო რესურსების გამოყოფასთან ერთად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ იზრუნოს იმ კულტურული ჩარჩოს გარღვევაზე, რომელიც პენიტენციურ სისტემაში ხელს უშლის შესაბამის პროგრამებში პირთა ჩართულობას.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონის მიუხედავად, ქვეყანაში პოლიტიკურ დონეზე გააზრებული არ არის სოციალური პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა დანაშაულის პრევენციის საკითხებში. პოლიტიკის დოკუმენტებში არ არის მსჯელობა სისხლის სამართლისა და სოციალური პოლიტიკის შეკავშირებაზე, სოციალურად მგრძობიარე პრევენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების იდეაზე. სახელმწიფო, პრევენციის ეგიდით, იყენებს მძიმე საპოლიციო ღონისძიებებს, რომლებსაც უფრო მეტად კონტროლისა და წესრიგის დამკვიდრების ფუნქცია აქვს, ვიდრე სოციალურ მსაზღვრელებზე ფოკუსირებული პრევენციული პოლიტიკის ჩამოყალიბების.